ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

არეულობა სვანეთში

გვ.4

ლაშა ჩხარტიშვილი: „ოლიგარქი ივანიშვილი სვანების დაშინებას ცდილობს“

10 ივლისიდან

მაკა სეფაშვილი

დანაშაული ალარ მოხდება

ქართული დეტექტივი ტომი 8

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

პარასკევი, 27 ივლისი, 2018 №176 (7721) ფასი: 60 თეთრი

ვისი დავალებით მოსთხოვა ვანო ჩხარტიშვილმა პატრიარქს გადადგომა

გოჩა მირცხულავა:

„ამდენიმე თვის წინ პატიარქმა მკვეთრი სიგნალი მოგვცა, მაგრამ ყოვლისმცოდნე და ყველაფრის გამაანალიზებელი ქართველი საზოგადოება ვერ მიხვდა, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი ილია II-მ"

გვ.2

„პატრიარქს პოლიტიკური შანტაჟი მოუწყვეს“

მოკლე კაბის ჩაცმა

გვ.3

„ივანიშვილი კვირიკაშვილს სამაგალითოდ სჯის“

გვ.6

რომან გოცირიძე: „ბანკებზე შეტევა ძალიან საშიშია“

გვ.5

მირიან მირიანაშვილი: „გრიგოლ ვაშაძე ლავროვის ქვეშევრდომი იყო“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „მიხარია, რომ ილჰამ ალიევი ჩვენს ინიციატივას გამოეხმაურა“

გვ.5

რა შეიცვლება აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების ცხოვრებაში

ეკონომიკა გვ.6

„ბანკი არ უნდა იყოს იმ კომპანიის კონკურენტი, რომელსაც აკრედიტებს“

ლევან დავითაშვილი: „წელს სახელმწიფო რთველის სუბსიდირებას ალარ მოახდენს“

„თუ ჭარბვალიანობა კრიტიკულ ნიშნულს მიაღწევდა, დაბალ ეკონომიკურ ზრდას გამოიწვევდა“

ISSN 1987-9385

6 ენერგეტიკის განვითარების ფონდს რომეო მიქაუტაძე უხელმძღვანელებს

7 ირაკლი აბესაძე: „ხორავას ქუჩის საქმეზე კონკრეტული ვერსია გამოიკვეთა“

4 სანდრო თვალჭრელიძე: „მარგველაშვილი არჩევნებს მოიგებს, თუ „ოცნება“ სალომე ზურაბიშვილს დააყენებს“

7 ალაზანში 52 წლის მამაკაცი დაიხრჩო

ვისი დავალებით მოსთხოვა ვანო ჩხარტიშვილმა პატრიარქს გადადგომა

გოჩა მირცხულავა: „პატრიარქს პოლიტიკური შანტაჟი მოუწყვეს“

შორენა მარსაგიშვილი

ის ხდება საპატრიარქოში, ის გეგმები აქვთ ჯიჰიდ-ვასაძე-დუგინის „ტროიკას", დგას თუ არა ხელისუფლება საპატრიარქოში მიმდინარე პროცესების უკან, იატომ გაათავისუფლა პრემიერმა გუბერნატორების ნაწილი და ის ბედი ელით თანამდებობაზე დაჩრენილებს? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

– გასულ კვირას თქვენ პრემიერ ბახტაძეს გუბერნატორების გათავისუფლებისკენ მოუწოდეთ, თქვით, რომ გუბერნატორების ნაწილი ოპოზიციასთან რაღაც მოლაპარაკებებს აწარმოებდა. გუშინ, 26 ივლისს, პრემიერმა გუბერნატორების ნაწილი გაათავისუფლა. რას უკავშირდება ეს გადაწყვეტილება?

– მარტში ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრის ზურაბ ალავიძის საგმირო საქმეების შესახებ ყველასთვის გახდა ცნობილი. „ახალ თაობასთან“ საუბარში ხშირად მითქვამს, რომ ჯერ კიდევ საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნების დროს ალავიძემ და კვირიკაშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ცალკეულ რეგიონებში კანდიდატების შერჩევაში.

აქ, რა თქმა უნდა, პროტექციონიზმი ჭარბობდა და სულაც არ იყო ის მომენტი, რომ ესა თუ ის კადრი უკეთესი იყო კონკრეტულ თანამდებობაზე.

ინფრასტრუქტურის სამინისტროში მაია ცქიტიშვილის მისვლის შემდეგ ბევრი რამე კიდევ უფრო ცხადი გახდა. ბოლო პერიოდში სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელები უფუნქციოდ იყვნენ დარჩენილი, ისინი დავალებების გამტარებიც კი აღარ იყვნენ. მათი ერთადერთი მისია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტიდან ხარკის აკრეფა იყო. ასევე სარფიანად უნდა გაეყიდათ ტენდერები და იქიდან შემოსავალი მიეღოთ.

მაისისთვის ეს მექანიზმი დაინგრა. მათი სიხარბე იმ დონემდე მივიდა, რომ ამ თანხებს თბილისში კონკრეტულ თანამდებობის პირებამდე აღარ აგზავნიდნენ და ჯიბეში იდებდნენ. ზოგიერთი გუბერნატორი, კორუფციულის გარდა, სხვა გარიგებებშიც იყო ჩართული.

– რა გარიგებებზეა საუბარი?

– კეთდება მინიშნებები მათ მიერ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულის შესახებ. ეს სათანადო სტრუქტურებმა უნდა შეისწავლონ.

– თქვენ ადრე გვითხარით, რომ ზოგიერთი გუბერნატორი ოპოზიციასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, მაგრამ მაშინ არ დააკონკრეტეთ, ვინ და რაზე საუბრობდა.

– სამთავრობო ცვლილებების შემდეგ გუბერნატორებმა იგრძნეს, რომ მათ წინააღმდეგაც შეიძლებოდა დაწყებულიყო რაღაც ღონისძიებები, შეეცადნენ, ცალკეული მიმართულებით ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის მიეწვდინათ ხმა იმის შესახებ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ისინი საკუთარ რესურსს მათ სასარგებლოდ გამოიყენებდნენ.

– რომელ ოპოზიციურ პარტიას ჰპირდებოდნენ მხარდაჭერას?

– დაკონკრეტებისაგან თავს შევიკავებ. მხოლოდ ერთ პარტიაზე არ არის საუბარი. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოლაპარაკებების შესახებ შეიტყვეს ზემოთ. საქმის კურსში იყვნენ სპეცსამსახურებიც და საკადრო ცვლილებები დაჩქარდა.

მე არ ვიტყვი, რომ გათავისუფლებული გუბერნატორებიდან ყველა აწარმოებდა მოლაპარაკებებს ოპოზიციასთან. ერთი-ორი ნამდვილად მოქმედებდა ასე.

– ბახტაძემ რამდენიმე გუბერნატორი თანამდებობაზე დატოვა. ისინი უმწიკვლოები არიან თუ რატომ შეინარჩუნეს თანამდებობები?

– ვერ ვიტყვი, რომ ისინი უმწიკვლოები არიან. გათავისუფლებულებთან მიმართებით დაგროვილი იყო არა მხოლოდ სოციალური და პოლიტიკური პრეტენზიები, არამედ ისინი ამ ეტაპზე მხილებული არიან თანამდებობრივ გადაცდომებში. ამიტომაც მოხდა მათი გათავისუფლება.

დარჩენილებთან მიმართებით სათანადო სამსახურებს, ეტყობა, არა აქვთ კომპრომატები. გაშვებულების მსგავსად, არც ისინი არიან წარმატებული გუბერნატორები, მაგრამ ოდნავ უკეთესად გამოიყურებიან.

სავარაუდოდ, მათ რაღაც დროს მისცემენ და დააკვირდებიან, რამდენად შეძლებენ საკუთარი თავის რეალიზებას, თუ არადა, მათაც მოუწევთ წასვლა.

არ ვიცი, ზემოთ ჩვენს საუბრებს უსმენენ თუ ჩვენს ინტერვიუებს კითხულობენ, მაგრამ მინდა, ხელისუფლების ყურადღება ერთ საკითხს მივაპყრო. კიდევ ერთხელ მივმართავ პრემიერს და ვთხოვ, მოახდინოს რეაგირება. აუცილებელია მისი განკარგულება, რათა უახლოეს მომავალში სპეცსამსახურებმა დაიწყონ ზუგდიდის რაიონში, ანაკლიაში, განმუხურში, ერგეთასა და მიმდებარე ზონებში ბოლო ორი წლის განმავლობაში მიწების დაკანონების სამართლიანობის საკითხი.

კონკრეტულად ასე ვსვამ საკითხს: ჰქონდა თუ არა უფლება თვითმმართველობასა და შესაბამის კომისიას, ცალკეული პერსონებისთვის დაეკანონებინათ არხები, დაჭაობებული ადგილები, ტყის მასივი და ა.შ. რისთვის და რატომ გაკეთდა ეს.

შეისწავლონ იმ პერსონების საკითხი, რომელთა დავალებითაც მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღება.

– თქვენ ხელისუფლებას შემთხვევით არ მიმართავდით და რაღაც სერიოზული ხდება მიწების დაკანონებასთან დაკავშირებით?

– აქ საუბარია უდიდეს კორუფციულ გარიგებებზე. ვიმედოვნებ, რომ პროკურატურა და ანტიკორუფციული სამსახური ამ მიმართულებით აქტიურად დაიწყებენ მუშაობას და ხელს არ დააფარებენ ყოფილ და მოქმედ თანამდებობის პირებს.

– ვის ზე მოხდა ამ მიწების დაკანონება?

– კონკრეტული სახელები და გვარები არსებობს, მაგრამ მთავარია, ვინ დგას მათ უკან. ამას სერიოზული გამოძიება სჭირდება. ეს შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა შეისწავლონ. ყველაფერი ხილულია და დოკუმენტების მოპოვება იოლად შეიძლება.

ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრი მასალის მოპოვება მოვახერხე.

– არ გვეტყვით, რა ხდება?

– ამ ეტაპზე მხოლოდ მოწოდებას ვიკმარებ. ვიმედოვნებ, რომ შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.

– თუ არ მოჰყვება?

– მაშინ შემოდგომაზე ამ მასალებს გამოვაქვეყნებ.

– გუბერნატორების თემას არ უკავშირდება, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის პროცესები, რომლებიც საპატრიარქოში მიმდინარეობს. ცოტა ხნის წინ მეუფეები მატროსოვის ციხეში მამა გიორგი მამალაძესთან ვერ შევიდნენ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ პატრიარქს ვანო ჩხარტიშვილის პირით მოსთხოვეს გადადგომა.

– როგორც განმარტეს, რამდენიმე დღის წინ მატროსოვზე მეუფეები ტექნიკური მიზეზების გამო ვერ შევიდნენ. მამა გიორგისთან მათი შეხვედრა 25 ივლისს შედგა.

რაც შეეხება პატრიარქისთვის წაყენებულ მოთხოვნას. ადრე მე თქვენთან ინტერვიუში ვთქვი, რომ როცა ილია II-მ მოსაყდრის დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო, ის გარკვეული შანტაჟის ქვეშ იმყოფებოდა. ამ შემთხვევაში პოლიტიკურ და საეკლესიო შანტაჟს ვგულისხმობდი.

რამდენიმე თვის წინ პატრიარქმა მკვეთრი სიგნალი მოგვცა, მაგრამ ყოვლისმცოდნე და ყველაფრის გამაანალიზებელი ქართველი საზოგადოება ვერ მიხვდა, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი

პატრიარქმა.

მოსაყდრის დანიშვნა რომ იძულებითი ნაბიჯი იყო, ეს სინოდის ბოლო სხდომაზეც გამოჩნდა. ჩვენ გვყავს მოსაყდრე, რომელსაც აქვს გახსნილი კონვერტის ფუნქცია. ამდენი ხნის განმავლობაში პატრიარქს არც კი უთქვამს, მოსაყდრეს მემკვიდრედ ვასახელებო.

– თქვენ შანტაჟის თემა ახსენეთ და ვინ ა შანტაჟებდა პატრიარქს?

– ეს შანტაჟი ღიად მოდიოდა რუსეთის პატრიარქ კირილისგან. ამაში მონაწილეობდა ილარიონ ალფეევი. აფხაზეთის ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხი დააყენეს შარშან შემოდგომაზე დღის წესრიგში.

მაშინ იყო ასეთი დათქმა, რომ შეიქმნებოდა ერთობლივი კომისია. ამ კომისიაში ქართულ მხარესაც უნდა ჰყოლოდა თავისი წარმომადგენელი. პატრიარქი რომ არ შეეწუხებინათ, ერთ-ერთი ეპისკოპოსის დასახელება გადაწყდა. კონკრეტული მინიშნება გაკეთდა მეუფე შიოზე. ეს იყო მოსაყდრეზე წინასწარი მოთხოვნა.

პატრიარქმა ყველაფერი სწორად გათვალა და საზოგადოებას პირდაპირ უთხრა, ა ბატონო, იძულებული ვარ, ასეთი გადაწყვეტილება მივიღოო.

მან ისიც გვითხრა, რომ მას ეკლესიის შიგნით ჰქონდა საკმაოდ რთული ვითარება და ამიტომაც გახდა იძულებული, მოსაყდრე დაესახელებინა.

მაშინ საზოგადოება ვერ მიხვდა, მაგრამ ახლა ნათლად ჩანს, თუ რას ემსახურებოდა პატრიარქ კირილისა და დუგინ-ვასაძის გეგმა. მათ შიო დაასახელებინეს მოსაყდრედ.

მერე უკვე ჩხარტიშვილი მივიდა საპატრიარქოში და პატრიარქს ურჩია, გადამდგარიყო. ზოგი ამბობს, რომ ბიზნესმენმა ეს ბიძინა ივანიშვილის დავალებით გააკეთა. ამ მოსაზრებას ვერაფრით დავეთანხმები.

– რატომ ვერ დაეთანხმებით?

– იმიტომ არ დავეთანხმები, რომ ვიცი, რაც ხდება. ჩხარტიშვილი ილია II-ს ივანიშვილის დავალებით არ შეხვედრია.

– აბა, რატომ ახსენებენ ივანიშვილის გვარს?

– ვიღაცას ეს შესაძლოა ქულების დასაწერად უნდა, მაგრამ არ არის სიმართლე. ივანიშვილს საკმარისად აქვს პოლიტიკური ცოდვები და ამის აკიდება არ არის საჭირო

იმ ხალხს, ვისაც სჯერა, რომ ჩხარტიშვილი ივანიშვილის დავალებით მოქმედებდა, ვურჩევ, დაფიქრდნენ, რა კავშირია ჩხარტიშვილსა და ვასაძეს შორის. კარგი იქნება, თუ სხვა მომენტებსაც დაუფიქრდებიან.

– მაგალითად, რას?

– რით უნდა ეიძულებინათ ჩხარტიშვილი, მისულიყო პატრიარქთან და საკმაოდ მკრეხელური მისია შეესრულებინა. ამ მკრეხელურ მისიას, როგორც უკვე ვთქვი, წინ უსწრებდა პატრიარქის მოსაყდრედ მეუფე შიოს გამოჩენა. ეს იყო ზეწოლა რუსეთიდან. ამას ჩვენი საპატრიარქო ღიად არ დაადასტურებს, მაგრამ ყველაფერი ისედაც ნათელია. ზოგჯერ ყველაფრის თქმა საჭირო არ არის. პატრიარქმა თავისი ნაბიჯით გვითხრა, რომ განსაცდელში იყო არა მხოლოდ თვითონ, არამედ – მთელი ქართული ეკლესია.

იმასაც ამბობენ, რომ მოსაყდრის დანიშვნაში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ვიღაც პერსონა შეიძლება იყო ჩართული, მაგრამ სისტემური გადაწყვეტილება რომ იყო, ამას ვერ დავიჯერებ. ეს არის პირდაპირ რუსული ხაზი. ამ ხაზის გამტარებელი არის საპატრიარქოსთან დაახლოებული ვასაძე და მოსაყდრე შიო. მათთან ერთად არის ჩხარტიშვილიც.

– და ეს ვანო ჩხარტიშვილი ვინ არის ამისთანა, პატრიარქთან რომ მიდის და გადადექიო, ეუბნება? მართალია, ბევრი ფული აქვს, მაგრამ ეს რამეს ნიშნავს?

– ჩხარტიშვილი თავისი გავლენებით საპატრიარქოში მიღებული პერსონაა. მას ვასაძე-დუგინთან სერიოზული კავშირები აქვს, ასევე კავშირები აქვს რუსულ ბიზნესწრეებთან. აქედან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ გაბედა მან პატრიარქთან ასეთი მკრეხელური მისიით მისვლა.

– თქვენი აზრით, ახლა საპატრიარქოში მოვლენები როგორ განვითარდება?

– საზოგადოებამ უკვე იცის, რომ მოსაყდრე არ არის აპრიორი მომავალი პატრიარქი. ამიტომ მოვუწოდებ მეუფე შიოს, როცა პატრიარქის არჩევნებამდე მივა საქმე, საერთოდ არ მიიღოს ამაში მონაწილეობა.

ახლა ის მაფიქრებს, ვინ არის საპატრიარქოში პრორუსული კადრი, რომელზეც ვასაძე-დუგინი და კირილი გააკეთებენ არჩევანს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

*“ეს ამბავი ამბობენ, ვინ ეუბნებოდა ეს ამბავი, ეს ამბავი ეუბნებოდა ეს ამბავი, ეს ამბავი ეუბნებოდა ეს ამბავი, ეს ამბავი

2018, 27 ივლისი, №176

სანდრო თვალჭრელიძე: „მარგველაშვილი არჩევნებს მოიგებს, თუ „ოცნება“ სალომე ზურაბიშვილს დააყენებს“

„საპრეზიდენტო არჩევნებში მამარდაშვილის ტიპის კანდიდატი უნდა დასახელდეს“

ნათია ხურცილავა

ექსპერტი, პროფესორი სანდრო თვალჭრელიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საპრეზიდენტო კანდიდატებზე საუბრობს.

– ბატონო სანდრო, თქვენ იზიარებთ მოსაზრებას, რომ დემოკრატიის კუთხით საპრეზიდენტო არჩევნებში მმართველი ძალის მიერ პოზიციების დათმობა მართლაც წინ გადადგმული ნაბიჯი შეიძლება იყოს?

– ძალიან რთული საკითხია. მე არ ვიცი, იყო თუ არა მსგავსი პრეცედენტი სადმე, რომ მმართველ პარტიას საკუთარი კანდიდატურა არ ჰყოლოდეს საპრეზიდენტო არჩევნებში. თუმცა, რომ ვუკვირდები, რატომაც არ შეიძლება, რომ არ ჰყავდეს?! საერთოდ, კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც პრეზიდენტის ფიცის დადების შემდეგ ამოქმედდება, ამბობს, რომ ის ზეპარტიული უნდა იყოს. თუ მართლაც ასე ზედმიწევნით წავიკითხავთ კონსტიტუციის ამ მუხლს, მაშინ არც უნდა იყოს პარტიული.

ჩვენ სიახლის გვეშინია. დაე, ეს იყოს ახალი ნაბიჯი ქართულ პოლიტიკაში, რატომ არ შეიძლება?! აქ უმთავრესი სულ სხვა საკითხია.

– კონკრეტულად?

– ვინ იქნება კანდიდატი. რამდენად ღირსეული პიროვნება იქნება და რამდენად წარმოადგენს ის ჩვენს ქვეყანას საზღვარგარეთ დადებითად, იმ ღირსებებით, რომლებიც საქართველოს აქვს. მე ვფიქრობ, რომ ეს უფრო ამ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი.

– დასახელებული კანდიდატები მოგწონთ?

– არა, არც ერთი დასახელებული კანდიდატი მე პირადად არ მომწონს, რადგან არც ერთი მათგანი არ პასუხობს იმ ამოცანას, რომელსაც პირველ რიგში ამ ადამიანებს კონსტიტუცია უწესებს.

– როგორი უნდა იყოს ახალი პრეზიდენტი?

– მე ვფიქრობ, რომ ცნობილი პიროვნება უნდა იყოს ყველა გაგებით, მაგალითად, ჩემთვის იდეალური კანდიდატი იქნებოდა აწგანსვენებული მერაბ მამარდაშვილი. მე ამ შემთხვევაში მოდელს ვთავაზობ მათ, ვინც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. რატომ ვაკეთებ ამ ხაზგასმას, ალბათ მიმიხვდებით.

– თქვენ რომ გვითხრათ?

– ჩემთვის ამ შემთხვევაში ამოსავალი არის კონსტიტუციის ახალი რედაქცია. ჩვენ გვჭირდება ადამიანი, რომელიც იქნება წარმომადგენლობითი საზღვარგარეთ. ისეთი უნდა იყოს, რომლითაც ყველა ქართველი ვიამაყებთ. პრეზიდენტი განაგებს, თუ უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო პოლიტიკის. ვინაიდან ჩვენ უკვე გვაქვს განაცხადი, რომ ევროკავშირი არის ჩვენი სამიზნე, ამ მიმართულებით მას უნდა შეეძლოს ევროპელ ლიდერებთან, როგორც ტოლ-სწორებთან, ურთიერთობა, მოაზროვნე უფრო უნდა იყოს, ვიდრე, მაგალითად, მაღალი დონის პოლიტიკოსი. არჩევანი რომ მქონდეს გასაკეთებელი, ვინ – პოლიტიკოსი თუ მაღალი დონის მოაზროვნე – რასაკვირველია, მე არჩევანს ამ უკანასკნელზე გავაკეთებდი.

მე მაინც მგონია, რომ მოღვაწე უნდა იყოს, რომელიც არ არის პოლიტიკურად ანგაჟირებული. პრეზიდენტი, რომელიც ყველას პრეზიდენტი იქნება და არა მხოლოდ რომელიმე ერთი პარტიის, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ბევრ ენაზე უნდა საუბრობდეს, უშუალო კონტაქტი რომ დაამყაროს დასავლეთის ლიდერებთან.

ვიღაცამ შეიძლება თქვას, დიმიტრი გელოვანი ხომ არ უნდა ავირჩიოთ?! არა, ბატონებო, სრულიად თავისუფლად შეიძლება, ასეთი ადამიანი საქართველოში მოიძებნოს.

– სალომე ზურაბიშვილზე რა აზრის ხართ?

– ჩემი აზრით, საქართველოს პრეზიდენტმა ქართული კარგად უნდა იცოდეს და ის, პირველ რიგში, საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს. სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთის მოქალაქეა და პენსიას საფრანგეთის სახელმწიფო უხდის.

– ოპოზიციამ რომ წაიღოს ეს პოსტი, როგორც ივანიშვილმა თქვა?

– მე ზეპარტიულ კანდიდატზე ვსაუბრობ, რომელიც არც ერთი პარტიის წევრი არ იქნება. ჩემთვის ეს იქნებოდა იდეალური ვარიანტი. უკვე დასახელებული ოპოზიციური კანდიდატები, მაგალითად, გრიგოლ ვაშაძე, არ არის ჩემთვის კარგი კანდიდატურა, არც დავით ბაქრაძე. რაღაც უღიმღამოდ ჟღერს.

– გიორგი მარგველაშვილზე რას იტყვით, თუ მან მეორე ვადით იყარა კენჭი?

– გიორგი მარგველაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებს მეორე ვადითაც მოიგებს იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი მართლაც სალომე ზურაბიშვილი იქნება ან მას დაუჭერს მხარს.

ისე, ეს საპრეზიდენტო არჩევნები ერთგვარად ლაკმუსის ქაღალდი იქნება. ეს არჩევნები, რომელიც ბოლო პირდაპირი არჩევნებია, ერთი ეტაპის დამამთავრებელი არჩევნები იქნება. ალბათ ქართული პოლიტიკური რეალობა ახალ ათვლას უკვე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყებს.

არეულობა სვანეთში

ლაშა ჩხარტიშვილი: „ოლიგარქი ივანიშვილი სვანების დაშინებას ცდილობს“

შორენა მარსაგიშვილი

სვანეთში სიტუაცია უეიდუჩესად დაიძაბა. ტყეების უკანონო ჭრის აღკვეთის საბაბით ხელისუფლებამ სვანეთში 1.200 სპეცრაზმელი შეიყვანა, ჩასაც მოსახლეობის მხრიდან მწვავე პროტესტი მოჰყვა.

ამ სპეცოპერაციას საზოგადოებაში სხვადასხვა შეფასება მოჰყვა. თავად სვანები ფიქრობენ, რომ ეს სადამსჯელო ოპერაცია მათ დაშინებას ემსახურება. სვანები იმიტომ ისჯებიან, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებს ჰესების აშენების უფლებას არ აძლევენ.

ამ მოსაზრებას იზიარებს უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი. ის თავის თანამოაზრეებთან ერთად მთავრობის ადმინისტრაციასთან საპროტესტო აქციის გამართვას აპირებს.

რატომ შეიყვანა ხელისუფლებამ სვანეთში სპეცრაზმი, ვინ არის ქვეყანაში ბუნების მთავარი მტერი, რატომ ხორციელდება მთის მიმართ მტრული პოლიტიკა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლაშა ჩხარტიშვილი ესაუბრება.

ლაშა ჩხარტიშვილი:

– დღეს, 27 ივლისს, მთავრობის ადმინისტრაციასთან სვანეთის მოსახლეობის მხარდასაჭერად საპროტესტო აქციას გავმართავთ. ვიკრიბებით 6.30 წუთზე და ხელისუფლებისგან მოვითხოვთ, ხელი აიღონ ხალხის დაშინებაზე.

სპეცოპერაცია, რომელიც ტყის დაცვის საბაბით ტარდება, პირდაპირ კავშირშია ჰესების მშენებლობასთან. სვანეთის მოსახლეობა სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს მეჰესეებს. ივანიშვილის ხელისუფლებას სვანეთში 56 ჰესის აშენება აქვს გადაწყვეტილი, რაც ამ კუთხეს სრულად გაანადგურებს.

სვანები თავიანთი კუთხის განადგურებას ეწინააღმდეგებიან. ბევრი მცდელობის მიუხედავად, მათი ნება ვერ გატეხეს და ახლა სპეცოპერაციით გადაწყვიტეს მათი დაშინება.

– რატომ გგონიათ, რომ ეს არის დაშინება, იქნება მართლა იმიტომ ტარდება სპეცოპერაცია, რომ ხე-ტყის უკანონო ჭრა აღიკვეთოს.

– ხელისუფლება თავად არის ტყეების პირველი გამანადგურებელი. ხე-ტყის უკანონო ჭრის აღკვეთა თუ უნდათ, მაშინ პირველ რიგში ივანიშვილს მიაკითხონ. მისმა კომპანიამ რაჭაში უამრავი ხე მოჭრა. მისი დენდროლოგიური პარკის მოწყობას უამრავი ხე შეეწირა.

საყდრისის ამფეთქებელმა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა არემჯიმ ტანძიაში 50.000 ჯანმრთელი ხე მოჭრა. მაშინ სად იყო ხელისუფლება და სპეცრაზმი. ამ ქვეყანაში ტყეების მთავარი მპარსავი ბიძინა ივანიშვილია.

ეს ხელისუფლება ბუნების დაცვაზე რომ იყოს ორიენტირებული, სვანეთში ჰესების აშენებაზე უარს იტყოდნენ. ეს პროცესი სვანეთში ძალიან დიდ ტყის მასივს შეიწირავს და კიდევ უამრავ კატასტროფას გამოიწვევს.

იგივე ვითარებაა დანარჩენ საქართველოში. ჰესების გამო ზოგან მდინარეები ჩაყლაპეს, ზოგან წყალი დააგუბეს და იქაურობა დატბორეს. საქართველოს დიდ ნაწილს განადგურებას უპირებენ.

ეტყობა, დიდი ხანია, სვანეთში სადამსჯელო ოპერაციის ჩატარება უნდათ. პრემიერად წოდებულმა მამუკა ბახტაძემ სვანები ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ დაადანაშაულა ხე-ტყის უკანონო ჭრაში.

– წყალდიდობის დროს რომ გააკეთა განცხადება, მაგას გულისხმობთ?

– მაგაზე მოგახსენებთ. პრემიერადწოდებული სვანეთშიც კი არ იყო ასული, როცა განაცხადა, მეწყერი და მდინარის ადიდება ხეების ჭრამ გამოიწვიაო. ეს განცხადება ისე გააკეთა, მიზეზები დადგენილი არ იყო.

იმის ნაცვლად, რომ სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას გვერდში დასდგომოდნენ, სპეცრაზმი შეუსიეს. ამით ხალხს პირდაპირ წაუყენეს ულტიმატუმი – ან მოგვცემთ ჰესების აშენების უფლებას, ან შიმშილით დაიხოცებით.

მინდა, მოვუწოდო მოსახლეობას, რომ გვერდში დავუდგეთ სვანებს. იქ ჰესების აშენება ნიშნავს ამ კუთხის განადგურებას. იგივე ემუქრება საქართველოს დიდ ნაწილს. ივანიშვილსა და კალაძეს ქვეყანა საერთოდ არ აინტერესებთ. მათთვის მთავარია, ბევრი ფული იშოვონ.

აუცილებელია ხალხის გააქტიურება. ჩვენ ერთად უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, შეასრულოს წინასაარჩევნო დაპირება. „ოცნების“ პროგრამაში პირდაპირ ეწერა – არა დიდ ჰესებს.

– თქვენი აზრით, სვანეთში მოვლენები როგორ განვითარდება?

– ხელისუფლებამ გონიერება თუ არ გამოიჩინა, შეიძლება, ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდეს. შესაძლოა, რუსი ოლიგარქი პუტინის დავალებას ასრულებდეს და ქვეყანაში შეგნებულად ძაბავდეს სიტუაციას.

ცოტა ხნის წინ სპეცრაზმი შეიყვანეს პანკისშიც, სადაც მოსახლეობა, სვანეთის მსგავსად, ჰესების მშენებლობას აპროტესტებს. პანკისელებს მდინარიდან ინერტული მასალების ამოღების გამო ედავებოდნენ.

გარდა იმისა, რომ ბუნებას ანადგურებენ, საზღვრისპირა რეგიონებში სიტუაციასაც ძაბავენ. საერთოდ, ამ ხელისუფლებას მთის მიმართ მტრული პოლიტიკა აქვს. ხევი-ხევსურეთი-თუშეთის დამაკავშირებელი გზა არის მეორე როკის გვირაბი. ბუნების განადგურების გარდა, რუსეთს საქართველოს დაპყრობას უადვილებენ.

ახლა ივანიშვილი მამა-შვილ ქუცნაშვილების დახმარებით ხადას ხეობის აოხრებას აპირებს. იქ აპირებენ ხევი-მთიულეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობას, რაც უნიკალურ ხეობას დიდ ზიანს მიაყენებს.

აი, ეს ხალხი უსირცხვილოდ საუბრობს ბუნების დაცვაზე და ხალხს სპეცრაზმით ემუქრება.

ნიკოლოზ მჟავანაძე: „მიხარია, რომ ილჰამ ალიევი ჩვენს ინიციატივას გამოეხმაურა“

რა შეიცვლება აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების ცხოვრებაში

გულიკო ბალაძე

„უფლებადამცველთა გაერთიანებამ“ 23 აპრილს აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს მიმართა, რათა დაინტერესებულიყო საინგილოში არსებული პრობლემატური საკითხებით.

გუშინ საქართველოში აზერბაიჯანის ელჩის პირველი თანაშემწე გუგარ მუსტაფაევი „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძეს, „ახალი თაობისა“ და სხვა ჟურნალისტებთან ერთად შეხვდა.

გუგარ მუსტაფაევმა მჟავანაძეს აზერბაიჯანის სახელმწიფოს პასუხი და საინგილოს ტაძრებისა და სკოლის ფოტომასალა გადასცა, მათ შორის, წმინდა გიორგის ტაძრის, წმინდა ნინოს ტაძრის, წმინდა მიხეილის ეკლესიისა და სხვა მართლმადიდებლური სამლოცველოების ფოტომასალა იყო.

– „უფლებადამცველთა გაერთიანებამ“ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს მიმართა იმის გამო, რა პრობლემებიც აქვს საქართველოს მოსახლეობას საინგილოში. მივიღეთ წერილი აზერბაიჯანის ოფიციალური ხელისუფლებისაგან, სადაც მიმოხილულია ის საკითხები, რომლებიც ჩვენ დავსვით, – აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

მიმართვაში ნიკოლოზ მჟავანაძე საუბრობდა საინგილოში მცხოვრები ქართველებისთვის შექმნილ პრობლემებზე, იქ არსებული მართლმადიდებლური ტაძრების მდგომარეობაზე, რომ ქართული მართლმადიდებლური ტაძრები ტუალეტებად არის ქცეული, ღვთისმსახურება არ ტარდება.

ქართული სკოლები დახურულია. აზერბაიჯანის მოქალაქე ქართველები არ ატარებენ ქართულ გვარ-სახელებს. გადასვლისა და დასაქმების პრობლემებია. ასევე კულტურის სახლი არ არის. ქართველები იდევნებიან. მაგალითად, ერთ-ერთ პირს ავიწროებდნენ იმის გამო, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო.

– ამ საკითხებთან დაკავშირებით ილჰამ ალიევმა დაავალა საგარეო საქმეთა სამინისტროს, საკითხი შეესწავლათ და ჩვენთვის ინფორმაცია მოეწოდებინათ. ჩვენ შევხვდით აზერბაიჯანის ელჩის პირველ თანაშემწე გუგარ მუსტაფაევს, რომელმაც განაცხადა, რომ, მართალია, ამ პრობლემების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს აზერბაიჯანის ხელისუფლებას, მაგრამ კვლავ გააგრძელებენ მუშაობას, – აღნიშნა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

– ბატონო ნიკა, აზერბაიჯანის სახელმწიფოს პასუხი თქვენს პრეტენზიებზე როგორია?

– გვიპასუხეს, რომ სკოლების პრობლემები არა მხოლოდ საინგილოშია, არამედ, ზოგადად – აზერბაიჯანში. ქართველი ბიზნესმენები შემოვიდნენ, სკოლებიც გააკეთონ და საწარმოებიცო. ამ პასუხმა ჩემი გაკვირვება გამოიწვია.

– რატომ?

– ინფორმაცია მაქვს, რომ ერთ-ერთ ქართველ ბიზნესმენს სურდა, საინგილოში გაეკეთებინა საკონსერვო ქარხანა თუ მსგავსი ტიპის საწარმო და პრობლემები შეექმნა. ამაზე მიპასუხეს, რომ ასე ჩვენებსაც ექმნებათ პრობლემები, მაგრამ საკითხი გადაჭრადიაო.

– შეხვედრაზე თქვენ და ჟურნალისტებს გვაჩვენეს საინგილოში ტაძრების ფოტოები. როგორ მდგომარეობაშია ტაძრები?

– ათამდე ტაძრის ფოტო გვაჩვენეს და გვითხრეს, რომ ამ ტაძრებში 5-6 კაცი დადის, მას ვუპასუხე, რომ 5-6 კაცი დადის მაშინ, როცა წირვა არ არის. იმ ტაძრებთან დაკავშირებით, რომლებიც ტუალეტებად არის ქცეული, გამოითქვა პოზიცია, რომ ეს აუცილებლად ექნებათ მხედველობაში და აზერბაიჯანის ხელისუფლება ზომებს მიიღებს.

ელჩის პირველ თანაშემწესთან გამოვთქვი სურვილი, როგორც ჩვენი პირველი პირები ჩადიან აზერბაიჯანელებთან ნოვრუზ-ბაირამის მისალოცად, ასევე გიორგობის დღესასწაულის მისალოცად აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი რომ ჩავიდეს, ერთხელაც არ ჩასულა-მეთქი. ამაზე მიპასუხა, აზერბაიჯანის ხელისუფლებას გადავცემთო.

ტაძრებთან დაკავშირებით მიპასუხა, მოსახლეობამ მიმართოს ხელისუფლებას, რათა იქ არსებული ტაძრები დაცვის ქვეშ ავიყვანოთ, როგორც სხვა ტაძრებია აყვანილიო.

გუგარ მუსტაფაევმა უარყო ის ინფორმაცია, რომ ზაქათალაში ქართველებს არ აქვთ უფლება, ქართული გვარსახელები ატარონ.

– მგონი თქვა, თვითონ არ გამოთქვამენ სურვილსო.

– დიახ. აზერბაიჯანელი ჟურნალისტები თავისუფლად შემოდიან საქართველოში და რასაც უნდათ, იღებენ, მაგრამ ჩვენს ჟურნალისტებს აზერბაიჯანში თავისუფლად გადასვლის უფლებას არ აძლევენ. ამაზე ბატონმა მუსტაფაევმა მიპასუხა, რომ ასე აზერბაიჯანის სახელმწიფოს შიდა რეგულაციების გამო ხდება.

ბატონმა მუსტაფაევმა გამოთქვა სურვილი, რომ ერთად ვიმუშაოთ ამ საკითხზე, პრობლემები არის და მათი გადაწყვეტა შეიძლება.

– პასუხებით კმაყოფილი ხართ?

– აზერბაიჯანის პრეზიდენტი შეწუხდა და იქ საკითხის მოკვლევა დაავალა. ამიტომ იმედს გამოვთქვამ, არსებული პრობლემური საკითხები აღმოიფხვრება. ჩვენ არც საგარეო საქმეთა სამინისტრო ვართ და არც რომელიმე სხვა სახელმწიფო უწყება, რომ პირდაპირი კონტაქტი გვქონოდა.

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ არასამთავრობო ორგანიზაციაა და მიხარია, რომ ჩვენს ინიციატივას გამოეხმაურნენ, რაც დადებითი წვლილი იქნება ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში. რა პირობებშიც არიან აქ აზერბაიჯანელები, იმ პირობებში უნდა იყვნენ ქართველები საინგილოში.

– მუსტაფაევმა თქვა, საქართველოში მეჩეთებს ჩვენთვის არ ვაკეთებთო.

– დიახ, ბატონმა მუსტაფაევმა განაცხადა, ჩვენ საქართველოში მეჩეთებს თქვენთვის არ ვაკეთებთ, აქედან მეჩეთები ხომ არ მიგვაქვსო. არც ჩვენ მოგვაქვს ეკლესიები საინგილოდან. კარგი იქნება, თუ მოუვლით-მეთქი.

– ყველა საკითხზე მიიღეთ პასუხი?

– ბევრი საკითხი, რომელიც დავაყენეთ, ამ პასუხში არ არის განხილული, მაგრამ უშუალოდ ეს პასუხი დადებითია, რადგან გამოითქვა სურვილი, რომ პრობლემებზე იმუშავებენ. გვითხრეს, რომ ჩვენ ვართ მეგობრული სახელმწიფოები, ჩვენ შორის ძმური კავშირია და პრობლემების გადაჭრას წინ ვერაფერი დაუდგება.

თავადაც აღიარეს, რომ მართლაც არსებობს გარკვეული პრობლემები, მაგრამ ზოგიერთი პრობლემა, მაგალითად, ზაქათალაში ქართველებს უფლება რომ არ აქვთ, ქართული გვარ-სახელი ატარონ, ეს უარყვეს. ბაბაშვილთან დაკავშირებით ამბობენ, რომ იქ არავითარი დარღვევები არ ყოფილა.

ზოგი პრობლემა გაზიარებულ იქნა, ზოგი – არა. თუმცა, თავად ის ჟესტი, რომ ილჰამ ალიევმა დაავალა თავის სახელმწიფო უწყებას, აღნიშნულ პრობლემებზე ემუშავათ და ჩვენთვის ეპასუხათ, დადებითი ფაქტორია.

ასევე მათ გამოთქვეს სურვილი, რომ ქართველმა ჟურნალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოინახულონ კახის რაიონი და საკუთარი თვალით ნახონ, რა ხდება კახში, ზაქათალასა და ბელაქანში.

მირიან მირიანაშვილი: „გრიგოლ ვაშაძე ლავროვის ქვეშევრდომი იყო“

„არჩევნების დროს რუსულ გეგმაში მონაწილეობა მმართველ გუნდს ძალიან ძვირად დაუჯდება“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

– ორი კვირის წინ მოუწოდებდით მმართველ პარტიას, საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი დაეჭირა სალომე ზურაბიშვილისათვის. დღეს გარკვეულია, რომ ბიძინა ივანიშვილი არ მიიჩნევს აუცილებლად „ქართული ოცნებიდან“ კანდიდატის წამოყენებას.

– სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის მხარდაჭერა ქვეყანას ჩვენი ინტერესების დაცვისთვის სჭირდება. ესაა პოლიტიკოსი, რომელსაც კრემლი არ ლობირებს და მას ნდობით მოეკიდებიან დასავლეთში. აშშ არავითარ შემთხვევაში აღარ დაეთანხმება რუსეთის მიერ მოწონებულ კადრებს. ვაშინგტონი ამ საკითხზე მოსკოვს არ გაურიგდება.

– „ქართული ოცნება“ ამ საკითხში ჩამოყალიბებული არ არის. ბიძინა ივანიშვილის გამოსვლიდან კი რჩება შთაბეჭდილება, რომ ის ოპოზიციურ კანდიდატებს უფრო ემხრობა, ვიდრე სალომე ზურაბიშვილს, რომელიც ფორმალურად დამოუკიდებელია.

– მას მოუწევს ზურაბიშვილის მხარდაჭერა. ჩემთვის ცნობილი გახდა ახალი რუსული სცენარი, რომელიც საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის დაიწერა.

– რუსეთი თავისი კადრის გაყვანას ეცდება?

– ამ სცენარით დაბრკოლებები უნდა შეექმნას სალომე ზურაბიშვილს და ფარულად დაიწყოს პოლიტიკური არეულობა. კადრის გაყვანა არ გამოუვათ.

– თქვენივე ინფორმაციით, საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი კურირებს, მისი მთავარი დასაყრდენი კი „ევროპული საქართველოა“.

– „ევროპული საქართველო“ არენიდან არ გასულა, ლავროვს არ გამოუვიდა ამ პარტიიდან საკუთარი რჩეულების დაწინაურება. ახლა აქცენტი გადატანილია გრიგოლ ვაშაძეზე, რომელიც რეალურად ნაცმოძრაობის კანდიდატურაა, მაგრამ მას ლამის მთელი ოპოზიციის წარმომადგენლად აცხადებენ. არჩევნების დროს რუსულ გეგმაში მონაწილეობა მმართველ გუნდს ძალიან ძვირად დაუჯდება.

– გინდათ თქვათ, რომ „ოცნება“ ან მისი ნაწილი გრიგოლ ვაშაძის სასარგებლოდ იმუშავებს?

– ამაზე გარკვეული ჯგუფები უკვე მუშაობენ. თუ ადმინისტრაციული რესურსი მოხმარდა ვაშაძის გაძლიერებას, ეს სავალალო შედეგს მოიტანს. ცეცხლთან თამაში რევოლუციამდე მიგვიყვანს.

– რევოლუციას მოაწყობენ რუსეთის მოწინააღმდეგეები?

– ამას შეიძლება ვუწოდოთ ერევნის სცენარის განმეორება. სომხეთის ხელისუფლება შეუუვალი იყო დასავლეთის გზავნილების მიმართ. ამან გამოიწვია ხავერდოვანი რევოლუცია და პაშინიანის მოსვლა. 220-წლიანი პერიოდის განმავლობაში საქართველოს პირველად უჩნდება შესაძლებლობა, ჰყავდეს კრემლისაგან დამოუკიდებელი ხელისუფალი. ამ შანსის დაკარგვა დანაშაულია.

ნუთუ გვინდა საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ ჯანელიძის ისტორიის გამეორება, როცა მას დასავლეთში არ ენდობოდნენ, ხშირად არ ხვდებოდნენ? ამით დაზარალდებოდა ქვეყნის ინტერესები. მართალია, საქართველოს პრეზიდენტს დიდი უფლებები არ გააჩნია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მას ჩვენი პარტნიორების ნდობა ჰქონდეს.

– ეროვნული ხელისუფლებაც კრემლზე იყო დამოკიდებული?

– იმ ხელისუფლებაში ვიყავი. კარგად ვიცი, რა ხდებოდა კულუარებში და როგორ ახერხებდა კრემლი პროცესების მართვას საქართველოში. არ მესმის, სანამდე უნდა იყოს არაინფორმირებული და გულუბრყვილო ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი. თან შტერი და თან ბედნიერი როგორ იქნები? ამ ხალხს ნაციონალური მოძრაობა და გრიგოლ ვაშაძე ჰგონია დასავლური კურსის გამტარებლები. ვაშაძე თავის დროზე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში ლავროვის რეკომენდაციით მიიღეს. იგი იყო ლავროვის ქვეშევრდომი წლების განმავლობაში. მისი ჩარევით დაინიშნა გრიგოლ ვაშაძე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად საკაშვილის დროს.

„ცეცხლთან თამაში რევოლუციამდე მიგვიყვანს“

სააკაშვილს ამაზე კომენტარის გაკეთებაც მოუხდა. მან აღიარა, რომ 2008 წელს შექმნილი მძიმე ვითარების გამო იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია მოსკოვისთვის. რუსული, განსაკუთრებით კი საბჭოთა დიპლომატია გადაჯაჭვული იყო უშიშროებასთან. ვაშაძეს შესაბამისი ჩინი, მაიორის წოდებაც უნდა ჰქონდეს. თუ თადარიგშია გასული, შესაბამისი დოკუმენტი წარმოგვიდგინოს ან ახლანდელი სტატუსი გვაცნოს.

ბოლო ათი წლის განმავლობაში, ზურაბიშვილის გარდა, საგარეო უწყების ყველა ხელმძღვანელი ლავროვის მითითებით დამტკიცდა. სამარცხვინო სიტუაციაში აღმოვჩნდით იმის გამოც, რომ პრაქტიკულად ჩაიშალა წინასაარჩევნო კამპანია. მალე არჩევნები დაინიშნება და საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყება. ეს დრო დაიკარგა ისე, რომ საპრეზიდენტო არჩევნების თემაზე ლაპარაკიც შეწყდა და კანდიდატები სრულად დღემდე არ არიან დასახელებული.

– ვის რისთვის დასჭირდა საპრეზიდენტო არჩევნების წინ ასეთი პაუზა?

– თავიდან ეს გამოიწვია იმან, რომ აშშ-ს აქამდე არ ჰყავს დანიშნული ელჩი საქართველოში. ეს პირადად ტრამპის გადაწყვეტილებაა. ის ელოდება ვითარების ტრანსფორმაციას და აჭიანურებს ელჩის გამოგზავნას თბილისში. ელჩის ჩამოუსვლელობის გამო ბიძინა ივანიშვილმა ვერ მოახერხა კონსულტაციების გამართვა ამერიკის მხარესთან. რუსებმა ეს მისია თვითონ იკისრეს, მაგრამ ამერიკელებთან პრეზიდენტობის კანდიდატზე გარიგება არ გამოუვიდათ. ამ მოვლენების გამო საპრეზიდენტო არჩევნებზე 3-კვირიანი არაოფიციალური პაუზა გამოცხადდა.

– „ქართულ ოცნებაში“ ბიძინა ივანიშვილს გარკვეულ საკითხებში არ ეთანხმებიან. ბევრს მიაჩნია, რომ კანდიდატი მმართველი პარტიის რიგებიდან უნდა დასახელდეს.

– „ქართულ ოცნებაში“ აზრზე არ არიან, რომ ქვეყანა უფსკრულის წინაშე დგას. საიდან უნდა გრძნობდნენ რისკებს პოლიტიკაში შემთხვევით მოსული ადამიანები? ისინი პარლამენტში სწორედ მათი პოლიტიკური უმწეობის გამო დასვეს. ასეთი უსუსური და უვიცი პირები დამოუკიდებელ თამაშს არ წამოიწყებენ. ისინი იმიტომ შეარჩიეს, რომ თავისუფლად ერთი ნაბიჯიც არ გადაედგათ. ბიძინა ივანიშვილს უფრო ესმის, რომ რისკის წინაშე დადგება ისიც და ქვეყანაც, თუ სალომე ზურაბიშვილს არ დაუჭერს მხარს.

ნონა ცაბაძე

„ივანიშვილი კვირიკაშვილს სამაგალითოდ სჯის“

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს

რომან გოცირიძე: „ბანკებზე შეტევა ძალიან საშიშია“

– ბატონო რომან, ბიძინა ივანიშვილის გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჭარბვალიანობას, ბანკების თემას და ასე შემდეგ. ორმა ბანკმა გადაჭამა ქვეყანაო. როგორ გაიგეთ მისი ეს განცხადება და რატომ მიადგა ბანკებს მაინცდამაინც ახლა?

– ეს ჭარბვალიანობა გამოგონილი ლეგენდაა და, როგორც ირკვევა, ეს წინასწარ იყო მოფიქრებული კვირიკაშვილის მოსახსნელად და მის წინააღმდეგ ასეთი იდეოლოგიური ფრონტის შესაქმნელად, ხოლო მეორე მხრივ ამ ჭარბვალიანობის თემით უნდოდათ გაეროს ბავშვთა ფონდის გამოკვლევის შედეგების გადაფარვა, როდესაც აღმოჩნდა, რომ სიღარიბე ქვეყანაში გაიზარდა და ეს სიღარიბის ზრდა უნდოდათ გადაებრალებინათ ჭარბვალიანობისთვის და ამით დაეჭირათ ორი კურდღელი. მესამე კურდღლის დაჭერაც ცადეს და ეს იყო შეტევა ბანკებზე, რაც პირდაპირ გაიშიფრა ბიძინა ივანიშვილის გამოსვლაში.

– რას გულისხმობთ?

– მან პირდაპირ დაასახელა საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკი და ბანკებზე შეტევის მიზეზიც კარგად გამოჩნდა.

– რა გაიშიფრა, რომ ამ ორ ბანკს ემტერება?

– რა თქმა უნდა. მან პირდაპირ თქვა, რომ ამ ორმა ბანკმა გაძარცვა და გადაჭამა ქვეყანა. ყველა პრობლემა შეახოცა კვირიკაშვილს და ბანკებს და ამის იდეოლოგიურ საფუძვლად ეს ჭარბვალიანობა მოიშველია. ეს ჯერ კიდევ ფინანსთა მინისტრობის დროს წამოიწყო ბახტაძემ და მაშინ უთხრიდა ძირს კვირიკაშვილს, ხოლო ბანკებზე შეტევა ასევე გამომდინარეობდა მისი კომერციული ინტერესებიდან.

– რომელი ინტერესებიდან?

– ორი დიდი ბანკიაო და კარგი იქნება, მესამე ბანკი თუ შეიქმნება, რომელიც კონკურენციას გაუწევსო. ყველამ კარგად ვიცით ლიბერთი ბანკის ახალი მეპატრონის განცხადება, რომელმაც თქვა, რომ მას უნდა, იყიდოს ქართუ ბანკი. სინამდვილეში ეს



„პრობლემა ჭარბვალიანობა კი არა, ვალგადაუხდელობაა“

ყიდვა ნიშნავს ორი ბანკის შეერთებას და ამით საფინანსო ბაზარზე, გარდა პოლიტიკური ინტერესისა, თავისი ეკონომიკური ინტერესების დამკვიდრებას. თუმცა, ორი ბანკის შეერთება არაფერს იძლევა, თუკი ის ბანკი არ იქნება ისეთივე ხარისხიანი პროდუქციის მიმწოდებელი, რომელსაც აღიარებს მსოფლიო და რომელიც ლონდონის ბირჟაზეა გასული. ქართუ ბანკსა და ლიბერთი ბანკს ჯერ წესიერი ანგარიშსწორების სისტემაც არ აქვთ აწყობილი და ლონდონის ბირჟაზე გასასვლელად მათ ასი წელი დასჭირდებათ ამნაირი ტემპით.

– რა მესიჯები გააგზავნა ივანიშვილმა ამ გამოსვლით?

– ფაქტია, რომ მის გამოსვლაში გამოჩნდა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ინტერესები.

– ჭარბვალიანობაზე რას იტყვით?

– რაც შეეხება ამ ჭარბვალიანობის საკითხს, საქართველო არის ზუსტად იმ პარამეტრებში, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში სესხების მოცულობით, როგორც არის ძირითადი განვითარებადი ქვეყნები და არავითარი განსაკუთრებული გადახრა საქართველოს მაგალითზე არ ხდება.

რაც შეეხება ვალის დაბრუნების პროცენტს, ის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეა არამარტო თავის მსგავს ქვეყნებში, არამედ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან მიმართებაში.

– მაშინ სადაა პრობლემა, ან ოპოზიცია რატომ აკრიტიკებდა?

– ძალიან ბევრი პრობლემაა. ჩვენი კრიტიკა მიმართული იყო ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, ხოლო ივანიშვილის კრიტიკა მიმართულია ძალაუფლების შესანარჩუნებლად და პოლიტიკურად ამ სისტემის ძირის გამოსათხრელად, ვგულისხმობ საბანკო სისტემას, რაც ეკონომიკას დაანგრევს.

ჩვენ ვამბობთ, რომ პრობლემა არის მთავრობაში, რომელმაც გააუფასურა ლარი, რომლის ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ფასების ზრდა და რეალურად მოსახლეობას ჭარბი ვალი არ აქვს.

– აბა რა აქვს?

– მოსახლეობას არ აქვს აღებული ვალის გადახდის უნარი, ანუ ჭარბვალიანობის პრობლემა კი არ არის, ვალგადაუხდელობის პრობლემაა, მთავრობის არასწორი პოლიტიკიდან გამომდინარე, ხოლო სიღარიბის ზრდა ქვეყანაში გამოიწვია ლარის გაუფასურებამ, სამუშაო ადგილების დაკარგვამ, მცირე და საშუალო სექტორში დაბალმა ეკონომიკურმა ზრდამ. ფასების მატებამ განსაკუთრებით იმ სეგმენტში, რომელიც განსაკუთრებით მძიმედ დააწვა დაახლოებით 800 ათას პენსიონერს და გამოიწვია რეალური შემოსავლების კლება. ხდებოდა შემოსავლების არაინკლუზიურად გადანაწილება.

– ეს რას ნიშნავს?

– ეს იმას ნიშნავს, რომ მიმდინარეობდა შემოსავლის კორუფციულად და ელიტარულად გადანაწილება. აი, ასეთმა ფაქტორებმა საბოლოოდ ქვეყანა მიიყვანა სიღარიბემდე.

„ქართული ოცნების“ 6-წლიანი მუშაობა საკუთარი პირით შეაჯამა ივანიშვილმა და აღიარა, რომ ეს დამთავრდა კრახით და ქვეყანა უფრო ღარიბია, ვიდრე იყო.

– ამ პრობლემის გამოსწორების მცდელობა აქვს ივანიშვილს?

– არა, უბრალოდ, ამ პრობლემის გადასაფარად მან მოიგონა განტევების ვაცი და ეს არის კვირიკაშვილი და მისი გუნდი, მათ შორის გუბერნატორებსაც დაერივნენ.

ეს არ ნიშნავს, რომ კვირიკაშვილის მინისტრები ან გუბერნატორები არ იყვნენ სიღარიბის შექმნაში ან კორუფციაში მონაწილეები, მაგრამ, როდესაც ერთი მინისტრი არის კორუმპირებული თუნდაც ინფრასტრუქტურის სამინისტროში, მას ხელს არ ახლებ და მშვენივრად აგრძელებს საქმიანობას ბიზნესსფეროში და მეორეს, თუნდაც კორუმპირებულს, სჯი და დასჯის მიზანი არის პოლიტიკური, მაშინ ეს არის პოლიტიკური დევნა!

ამიტომ, როგორი დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეთ მათ ჩადენილი, მიზანი არის პოლიტიკური დევნა და ხელის შეხოცვა, ასევე – დაშინება.

– დაშინება რისთვის?

– რომ ძველმა მინისტრებმა ხმა არ ამოიღონ. ასევე დაშინება დღევანდელი მინისტრებისა და თანამდებობის პირების, რომ ყველას ასე მოუვა. ყველაფერ ამას ასდის პოლიტიკური სუნი და ამას ჰქვია პოლიტიკური რეპრესიები.

კვირიკაშვილის მიმართ საქმის აღძვრა ან თუნდაც მუქარა, რომ საქმეს აღვძრავთ, ნიშნავს იმას, რომ იგი გააჩუმონ.

– გააჩუმონ?

– დიახ, არავინ იცის, რას იტყვის კვირიკაშვილი თუნდაც იმავე აფგან მუხთარლის საქმეზე, მის გატაცებასთან დაკავშირებით. მთავრობის მეთაური იყო და ამაზე პასუხისმგებლობას ვერ აიცილებს. შეუძლებელია, ასეთი მნიშვნელოვანი საქმე ივანიშვილთან არ ყოფილიყო შეთანხმებული, რადგან ივანიშვილი არასდროს იდგა განზე ქვეყნის მართვისაგან.

– ანუ ეშინიათ, კვირიკაშვილი არ ალაპარაკდეს და ამით მის გაჩუმებას ცდილობენ?

– რასაკვირველია. ან თუნდაც ივანიშვილის არაფორმალურ მმართველობაზე რას იტყვის, როგორ ერეოდა იგი საკადრო ცვლილებებში. ყველამ კარგად იცის, როგორ დაუნიშნა გახარია და ბახტაძე კვირიკაშვილს. კვირიკაშვილმაც მშვენივრად იცოდა, რომ ბახტაძე უნდა ყოფილიყო მისი შემცვლელი. ბოლოს კვირიკაშვილს კარის გაჯახუნება და ოდნავი უკმაყოფილების გამოთქმაც კი არ აპატიეს და ივანიშვილი მას სამაგალითოდ სჯის.

– ბანკების თემით დავიწყეთ და ამითვე დავასრულოთ. რადგან ივანიშვილმა ახსენა ორი ძლიერი ბანკი, საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკი, რამდენად არის მოსალოდნელი, რომ მათ სერიოზული პრობლემები შეექმნათ?

– ამ ბანკების სიძლიერე იმაშია, რომ, მაგალითად, საქართველოს ბანკს არ ჰყავს ქართველი აქციონერი. საკონტროლო პაკეტს არ ფლობენ ქართველები, ეს ბანკი არის ლონდონის ბირჟაზე და ყოველდღე იცვლება მათი მესაკუთრე და მისი ძირითადი აქციონერები არიან საერთაშორისო კომერციული ფონდები და ფირმები. უშუალოდ მესაკუთრეზე გავლენა ძალიან ძნელია. თუმცა შეუძლიათ, აქ შეუქმნან დიდი პრობლემა იმავე საგადასახადო სამსახურით.

– თიბისი ბანკზე რას იტყვით?

– თიბისი ბანკში მამუკა ხაზარაძე და ჯაფარიძე არიან მნიშვნელოვანი აქციონერები, ოღონდ მათაც არ აქვთ საკონტროლო პაკეტი. ეს ბანკიც ლონდონის ბირჟაზეა და მასაც აქვს საერთაშორისო იმუნიტეტი და ასე ადვილი არ არის მისი დაჩაგვრა.

ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ეს განცხადება, რომელიც ბანკებზე შეტევას გულისხმობს, არის ძალიან საშიში. ერთია, როდესაც ვაკრიტიკებთ ჩვენ, ოპოზიცია, აბსოლუტურად სამართლიანად და ოპოზიციის გავლენა სხვა არის და სულ სხვაა ქვეყნის რეალური მმართველის გავლენა, რომელსაც, ამავდროულად, ფინანსური ინტერესები აქვს. მისი მხრიდან ეს არის უპასუხისმგებლო კრიტიკა.

ენერგეტიკის განვითარების ფონდს რომეო მიქაუტაძე უხელმძღვანელებს

ენერგეტიკის განვითარების ფონდს რომეო მიქაუტაძე უხელმძღვანელებს. აქამდე ის ეკონომიკის მინისტრის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

ფონდის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მან თორნიკე რიჟვაძე შეცვალა, რომელიც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე გახდა.

რომეო მიქაუტაძე ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმებამდე, მინისტრის მოადგილე იყო. მანამდე საქრუსენერგოს გენერალური დირექტორი იყო.

კომერსანტი

„თუ ჭარბვალიანობა კრიტიკულ ნიშნულს მიაღწევდა, დაბალ ეკონომიკურ ზრდას გამოიწვევდა“

საქართველოს ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანის შეფასებით, განსაკუთრებით ბოლო წლებში ჭარბვალიანობის ზრდის ტემპი ძალიან მაღალი იყო.

ამის შესახებ მაჭავარიანმა ჟურნალისტის იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც ჭარბვალიანობასთან ბრძოლისთვის დამატებითი რეგულაციების შესაძლო შემოღებას შეეხებოდა.

– ჭარბვალიანობა არის რისკფაქტორი. მისი ზრდის ტემპი, განსაკუთრებით ბოლო წლებში, იყო ძალიან მაღალი იყო და კრიტიკულ ნიშნულს თუ მიაღწევდა, რასაკვირველია, შექმნიდა მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას და, საბოლოო ჯამში, დაბალ ეკონომიკურ ზრდას გამოიწვევდა. შესაბამისად, მთელი რიგი ღონისძიებები ჩატარდა. ჩვენ დაველოდებით შედეგებს, შევხედავთ, როგორია ზრდის ტემპი, კლებისკენ მიდის თუ – არა. თუ საჭირო იყო, დავამატებთ... ამ ეტაპზე, მოკლე ვადაში ასეთი არაფერი იგეგმება, თუმცა ზოგადად დინამიკას შევხედავთ. ამას შეიძლება რამდენიმე თვე დასჭირდეს და აქტიურად ჩავერევით, თუ საჭიროდ ჩავთლით, – აღნიშნა მაჭავარიანმა.

ცნობისთვის: მთავრობის სხდომაზე პრემიერმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა, რომ მთავრობა ჭარბვალიანობის შესამცირებლად დამატებითი ნაბიჯების გადადგმას გეგმავს.

ბმ.გე

ლევან დავითაშვილი: „წელს სახელმწიფო რთველის სუბსიდირებას აღარ მოახდენს“

მიმდინარე წელს სახელმწიფო რთველს აღარ დაასუბსიდირებს.

ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა.

– მალე დაიწყება რთველი და ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ვიწყებთ რთველს და არის გაუმჯობესება ამ მიმართულებით. სახელმწიფო მთლიანად გამოდის თანადაფინანსებიდან და დახმარებიდან, მათ შორის სუბსიდირების რეჟიმიდან. ჩვენ შარშან ფაქტიურად სუბსიდია აღარ გვქონდა, თუმცა გვქონდა გარკვეული კომპენსაციები სპირტის წარმოებისთვის. ახლა შევაფასებთ და ვფიქრობთ, რომ ამის საჭიროებაც აღარ არის. თუმცა სამუშაო ჯგუფი იარსებებს ისე, როგორც წინა წლებში.

ეს ხარისხის კონტროლის და აღრიცხვიანობის კუთხით კარგი მიღწევაა, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მისივე თქმით, აღნიშნულ სექტორში შექმნილია ძალიან პოზიტიური დინამიკა და ახლა მისი განვითარება იძლევა საშუალებას, რომ ინტერვენცია აღარ განხორციელდეს.

– სუფთა საბაზრო ეკონომიკის პირობებში განისაზღვრება როგორც ფასი, ასევე მიწოდების პრინციპები და სახელმწიფოს ჩართულობა ზედმეტია, – აღნიშნა მინისტრმა.

მისივე განმარტებით, სახელმწიფო შეიძლება დარგს დაეხმაროს პოპულარიზაციის ღონისძიებების დაფინანსებით და ამ მიმართულებით დაფინანსება შეიძლება კიდეც გაიზარდოს.

„ბანკი არ უნდა იყოს იმ კომპანიის კონკურენტი, რომელსაც აკრედიტებს“

„ბანკი არ უნდა იყოს იმ კომპანიის კონკურენტი, რომელსაც აკრედიტებს“, – ასე აფასებს „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილი „ქართული ოცნების“ ღიდერის ბიძინა ივანიშვილის მიერ საზოგადოებრივ მაუწყებელთან ბანკებთან დაკავშირებულ განცხადებას. ივანიშვილის თქმით, „ორმა ბანკმა ქვეყანა გადაჭამა“.

ბიზნესმენ ირაკლი იაშვილის განცხადებით, ბანკები, განსაკუთრებით კი ორი ბანკი, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში არაპროფილურ აქტივებს ფლობდნენ, რეალურ ეკონომიკაში მოღვაწე ბიზნესმენების კომპანიების კონკურენტები გახდნენ.

შესაბამისად, ჩამოყალიბდა სერიოზული ინტერესთა კონფლიქტი კომპანიებს შორის, რომლებიც ამა თუ იმ სფეროში მოღვაწეობენ, მაგალითად, სამედიცინო, სამშენებლო, ღვინის ინდუსტრია. იაშვილის ინფორმაციით, უამრავი დარგია, სადაც ბანკები შევიდნენ და ძალიან დიდი ნიშა აიღეს.

– ამ დიდ კომპანიებსა და ბანკებს შორის ჩამოყალიბდა ინტერესთა კონფლიქტი, რაც დაუშვებელია. ბანკი არ უნდა იყოს იმ კომპანიის კონკურენტი, რომელსაც აკრედიტებს, – აცხადებს იაშვილი.

მისივე განცხადებით, თუ გადავხედავთ საერთაშორისო გამოცდილებას, იქ მსგავსი რამე არ ხდება. „ბანკი ფლობს საფინანსო პროდუქტებს, არ შედის არც მედიცინაში და არც მიწას ხნავს. ჩვენთან კი ამ ყველაფერმა ანომალიური ხასიათი მიიღო, – აცხადებს იაშვილი.

ირაკლი აბესაძე: „ხორავას ქუჩის საქმეზე კონკრეტული ვერსია გამოიკვეთა“

– ახლა უკვე გვაქვს კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებმაც გამოკვეთა ერთი კონკრეტული ვერსია, რაზეც შსს-გან ველით უმოკლეს ვადებში რეაგირებას.

ამის შესახებ ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრმა ირაკლი აბესაძემ განაცხადა.

კომისიის წევრების ინფორმაციით, საქმის შესწავლისა და არასრულწლოვნების გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილია კონკრეტული ვერსია, რომლის გადამოწმებაც შსს-მ უმოკლეს დროში უნდა განახორციელოს.

აბესაძე არ აკონკრეტებს, ვინ ფიგურირებს აღნიშნულ ვერსიაში და რა მტკიცებულებებია გამოკვეთილი ამ მხრივ.

– კომისიის მუშაობისას, მასალების შესწავლისას ნათლად დავინახეთ, რომ მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების ჩაუტარებლობა, მთელი რიგი მოწმეების დაუკითხაობა თავის დროზე, რომლებიც როგორც აღმოჩნდა ფლობდნენ მნიშვნელოვან ინფორმაციას, ეს ნიშნავდა, რომ გამოძიებას არ ჰქონდა გადამოწმებული ყველა ვერსია მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით.

ახლა უკვე გვაქვს კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებმაც გამოკვეთა ერთი კონკრეტული ვერსია, რაზეც შსს-გან, რომელმაც თვეები დაკარგა იმისათვის, რომ ეს ვერსია უკვე გადამოწმებული და დადასტურებული ან უარყოფილი ჰქონოდა, ველით რაც შეიძლება სწრაფად გადაამოწმოს ეს ვერსია, გადაამოწმოს ეს ფაქტები და გარემოებები და საზოგადოებას აცნობოს შედეგების შესახებ.

რაც შეეხება კონკრეტულ ფიგურანტებს, ან ვის მიმართ და რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვსაუბრობთ ახალ გარემოებებზე, ამაზე საუბრისგან დღეს, რა თქმა უნდა, თავს შევიკავებთ. ჩვენ ვაძლევთ შსს-ს შესაძლებლობას, რომ უმოკლეს ვადაში დაასრულოს ამ ვერსიაზე მუშაობა და შედეგები საზოგადოებას აცნობოს, – განაცხადა ირაკლი აბესაძემ.

❖ ❖ ❖

შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ განცხადებას გამოეხმაურა.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო მკვლელობის ძირითადი საქმიდან გამოყოფილი საქმის ფარგლებში ინტენსიურ საგამოძიებო მოქმედებებს აწარმოებს. დღემდე უკვე დაკავებული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია დამატებით სამი პირი – მირზა სუბელიანი, მერაბ მორჩაძე და არასრულწლოვანი დ.ღ.

პირები, რომელთაგან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზეც საგამოძიებო კომისიამ გუშინ განცხადება გაავრცელა, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოყოფილი საქმის ფარგლებში უკვე გამოკითხული ჰყავს. გამოკითხვის შედეგად მოპოვებულია გარკვეული ინფორმაცია, რომლის გადამოწმების და სხვა პირების პასუხისგებაში მიცემისთვის შესაბამისი მტკიცებულებითი სტანდარტის შექმნის მიზნით, მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები.

საგამოძიებო კომისიას არ აქვს სამინისტროს მიერ გამოყოფილი საქმის გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ყველა ინფორმაცია, ვინაიდან მტკიცებულებების შეკრება ხდება ყოველდღიურ რეჟიმში. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 18 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ წერილობით მიმართა საგამოძიებო კომისიას და შესთავაზა გაუთქმელობის ხელწერილის საფუძველზე დამატებით მასალის, მათ შორის მათ მიერ დღეს მედია საშუალებებით გაჟღერებული ინფორმაციის გადაცემა, რაზეც კომისიიდან პასუხი სამინისტროს ამ დრომდე არ მიუღია.

აქვე გამოვხატავთ მზადყოფნას, გავაგრძელოთ კომისიასთან თანამშრომლობა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით ასევე გადავამოწმოთ ყველა შესაძლო გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ახალი ინფორმაცია“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

„დაგვიბრუნეთ ჩვენი მერი!“ თემურ აბაზოვი პატიმრობაში დატოვეს

მარნეულის მერი, თემურ აბაზოვი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კვლავ პატიმრობაში რჩება.

სხდომა აბაზოვისათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გადახედვის თაობაზე გუშინ, 26 ივლისს, გაიმართა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოსთან შეკრებილი იყვნენ აბაზოვის ახლობლები, მეგობრები და ოჯახის წევრები ტრანსპარანტებით – „დაგვიბრუნეთ ჩვენი მერი“, „გათავისუფლდეს პატიმრობიდან“.

მარნეულის ყოფილი მერი აცხადებს, რომ პროკურატურას მის წინააღმდეგ არანაირი მტკიცებულება არ აქვს და აღნიშნავს, რომ უწყება საქმის გამოძიებას აჭიანურებს.

– ბევრი შეცდომა დაუშვა პროკურატურამ, იყო შიშის ფაქტორი, ზაზა სარალიძის გამოსვლები. მაშინდელ ქვეყნის პირველ პირებს დაუკავშირდნენ. იცოდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილთან ვმეგობრობდი და მაშინდელმა პირველმა პირებმა უთხრეს, მიდით ბოლომდეო. ამხელა თანამდებობის პირის ისე დაჭერა არ ხდება. მე არ ვარ დამნაშავე. საერთოდ არ ვყოფილვარ იქ. ვიდეოში ჩემი ხმა არაა, – განაცხადა თემურ აბაზოვმა სასამართლოში.

ადვოკატ გაგი მოსიაშვილის განცხადებით, სასამართლოს თემურ აბაზოვის პატიმრობაში დატოვების მტკიცებულებები და არგუმენტები არ ჰქონდა, აქედან გამომდინარე, მიღებული გადაწყვეტილება სამართლებრივ კონტექსტს სცილდება.

დაცვის მხარემ აბაზოვის 40 ათასი ლარის ოდენობის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება მოითხოვა, თუმცა მოსამართლემ გირაოს შეფარდების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

მარნეულის მერი თემურ აბაზოვი 13 ივნისს დააკავეს. მისი დაკავება მარნეულის მკვიდრის მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტს უკავშირდება, რომელზეც საქართველოს პროკურატურა გამოძიებას აწარმოებს.

ქუთაისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქრო აღმოაჩინეს

ქუთაისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქრო აღმოაჩინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ცნობით, 24-25 ივლისს მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქეების, გ.ჯ-სა და გ.ს-ს კუთვნილი ხელჩანთების დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები (საერთო წონა 190.78 გრამი) აღმოაჩინეს.

საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 14,871 ლარი შეადგინა.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, საერთო ჯამში, 14,871 ლარის ოდენობით შეეფარდათ“, – ნათქვამია განცხადებაში.

ალაზანში 52 წლის მამაკაცი დაიხრჩო

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მდინარე ალაზანში 52 წლის მამაკაცი დაიხრჩო.

არსებული ინფორმაციით, კარდენახში მცხოვრები მამაკაცი ცურვისას შეუძლოდ გახდა.

ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

თბილისში მანქანა 2 უცხოელ ქალს დაეჯახა — მძღოლი მიიმალა

თბილისში, პეკინის ქუჩაზე, მერსედესის მარკის ავტომობილი გზაზე გადასვლისას ორ უცხოელ ქალს დაეჯახა.

დაშავებულები საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

შემთხვევის ადგილიდან ავტომობილის მძღოლი მიიმალა.

ავარიას მანჩო გიორგობიანი შეესწრო და ფეისბუქში დაწერა:

„ამ წამს შევესწარი ავარიას პეკინზე!! მძღოლი დამნაშავე არ არის!!! აზიური წარმოშობის ორ ახალგაზრდა ქალს, რომლებმაც ბუკიას ბაღიდან პირდაპირ მოულოდნელად გადმოირბინეს პეკინზე, მეორე მხარეს, მეოთხე ხაზში (ბუკიას ბაღიდან გადმოთვალეთ, ანუ პროსპექტის შუაში.) დაარტყა მანქანამ!!!

ზუსტად ორ ნაბიჯშია მიწისქვეშა გადასასვლელი, პრაქტიკულად მიწისქვეშას თავზე მოინდომეს 7-ხაზიანი პროსპექტის „გადარბენა“ და 50 მეტრში კიდევ ზებრაც არის!!!

შექმნეს საავარიო ვითარება. მოხდა ის, რაც, სავარაუდოდ, მოსახდენი იყო, ერთ-ერთმა მძღოლმა ველარ მოასწრო რეაგირება, უფრო სწორად, ცადა დამუხრუჭება, მაგრამ მაინც მოხდა შეჯახება, დაახლოებით, 3 მეტრზე აყარა ჰაერში და მოწყვეტით დაენარცხნენ ასფალტზე. მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს ამუხრუჭებდა, სწორედ მუხრუჭების და საბურავების წრიპინის ხმამ მიიქცია ჩვენი, გამვლელების, განსაკუთრებული ყურადღება.. საბედნიეროდ, ორივე ახალგაზრდა ქალი გადარჩა..

სასწრაფო მოვიდა 2 წუთში – რამდენიმე ჯგუფი, პოლიცია – ერთ წუთში, მანამდე ჩვენ ვეცადეთ, ადგილიდან არ გაგვენძრია და სახეს ვუზელდით ცივი წყლით. ამ დროს განძრევა არ შეიძლება!!!

ორივე იყო შოკში და ადგომას ცდილობდნენ., ჩვენ არ დავანებეთ, ცოტ-ცოტა სისხლი სდიოდათ. სასწრაფომ ადგილზე ჩაუტარა პროცედურები, იქვე ვკითხეთ, იყვნენ თუ არა ალერგიულები და გაუკეთეს ინექცია, შემდეგ დაუფიქსირეს კისრები და ასე შეიყვანეს რეანემობოლებში. მგონი, ღმერთმა უშველათ, რომ ასეთი დარტყმის შემდეგ მოტეხილობები არც ერთს არ აღენიშნებოდა, კომუნიკაციაშიც ორივე შემოვიდა, ოდნავ ესხა სისხლი. მნიშვნელოვანი ჭრილობა ან ტრავმა პირველადი დათვალიერებით არ აღენიშნებოდათ“.

ავარია თბილისის ზღვაზე. დაშავებულია 3 ადამიანი

თბილისში, ზღვის შემოვლით გზაზე, სამი ავტომანქანის შეჯახების შედეგად სამი ადამიანი დაშავდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ჯვარში სატვირთო ამოტრიალდა

1 ადამიანი დაიღუპა, 1 დაშავდა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარში სატვირთო ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ამოტრიალდა.

შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი ადგილზე გარდაიცვალა, დაშავდა კიდევ ერთი პირი, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის მეხუთე ნაწილით აღიძრა, რაც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

აშშ ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს

ტრამპი-პუტინის შეხვედრა გადაიდო

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და მისი რუსი კოლეგის ვლადიმერ პუტინის შეხვედრა გადაიდო. ამის თაობაზე ჟურნალისტებს ტრამპის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში ჯონ ბოლტონმა განუცხადა.

ექსპერტების აზრით, შეხვედრის გადადების ძირითადი მიზეზი აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში რუსების ჩარევის გამო აზვირთებული აჟიოტაჟია. უკრაინის გარშემო რუსეთ-აშშ-მ შეთანხმებას ვერ მიაღწია, ამის გარეშე კი პუტინი უარზეა, სირიაში რამე დათმოს.

ამრიგად, ამ ეტაპზე რუსეთ-აშშ-ის პრეზიდენტებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა. ახალ შეხვედრასაც აზრი არ აქვს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა „ყირიმის დეკლარაცია“ გამოსცა. მასში ნათქვამია, რომ აშშ ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას არასოდეს აღიარებს.

დეკლარაციას თავად აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა პომპეომ მოაწერა ხელი.

„ყირიმის დეკლარაციას“ უკვე შეუერთდნენ გერმანია და დიდი ბრიტანეთი. სავარაუდოდ, ახლო მომავალში მას საფრანგეთი და ევროპის სხვა ქვეყნებიც შეუერთდებიან.

სერგეი ლავროვი ემანუილ მაკრონს შეხვდა

რუსეთის პრეზიდენტი პუტინი საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუილ მაკრონს დაუკავშირდა. ამის შემდეგ პარიზში რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი გერასიმოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი გადაფრინდნენ.

ისინი პრეზიდენტმა მაკრონმა მიიღო.

მოლაპარაკების ძირითადი თემა დონბასის კონფლიქტი და სირიაში შექმნილი მდგომარეობა იყო.

ლავროვმა ცადა, დონბასის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში საფრანგეთის მხარდაჭერა მიეღო. სქემა მარტივია: უკრაინა ანიჭებს დონბასს განსაკუთრებულ სტატუსს ერთიანი უკრაინის ფარგლებში, იღებს კანონს ბოევიკების ამნისტიისა და არჩევნების ჩატარების შესახებ; ადგილობრივი არჩევნების ჩატარების შემდეგ დონბასში უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი, რომლითაც რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობამ მისი მომავალი თავად უნდა განსაზღვროს; რაც შეეხება დონბასიდან რუსეთის ჯარის გაყვანასა და რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზე უკრაინელი მესაზღვრეების ჩაყენებას, ეს რეფერენდუმის შემდეგ გადაწყდება.

ასეთია რუსეთის სქემა.

– ლავროვმა ცადა, ფრანგები კარს მომდგარი ფართომასშტაბიანი ომით დაეშინებინა. აქაოდა, თუ ჩვენს სამშვიდობო სქემას არ მიიღებთ, ომი გარდაუვალიაო, – აცხადებს უკრაინელი ექსპერტი ანდრეი შკილი.

მიუხედავად ამისა, მაკრონის პოზიცია ურყევია: დონბასში ჯერ უნდა სროლები შეწყდეს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება რეგიონის სტატუსი და არჩევნების ჩატარების საკითხი.

– თანახმად მინსკის შეთანხმებებისა, დონბასში თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები უნდა ჩატარდეს. ეს კი ომის პირობებში შეუძლებელია, – თქვა მაკრონმა.

ნიკოლ პაშინიანი: „სომხეთი რუს მესაზღვრეებს სომხეთ-თურქეთის საზღვარზე ჭოვებს“

სომხეთი რუსი მესაზღვრეების სომხეთ-თურქეთის საზღვარზე ყოფნაზე უარის თქმას არ აპირებს.

ამის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ პაშინიანმა განაცხადა.

– რუსი მესაზღვრეები თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვარს იცავენ და ეს ძალიან სჭირდება სომხეთს. ჩვენთვის ეს ძალიან კარგია, ვინაიდან ჩვენ, ფაქტობრივად, გათავისუფლებულნი ვართ ამ მოვალეობისგან. ჩვენთვის დიდი ტვირთი იქნებოდა ამ გრძელი საზღვრის დაცვის მოვალეობის აღება, – განაცხადა სომხეთის პრემიერ-მინისტრმა.

ნიკოლ პაშინიანი ასევე შეეხო სომხეთში რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზის საკითხს და აღნიშნა, რომ ეს სომხეთის უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ელემენტია, რაც სომხეთის ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება.

ტერაქტების სერია სირიაში

სირიის ქალაქ ელ-სუვეიდში ტერაქტების სერია მოხდა. ტერორისტმა კამიკაძემ ბაზარში თავი აიფეთქა. მეზობელ რაიონში ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში მოიყვანა უკვე მეორე თვითმკვლელმა ტერორისტმა.

შედეგად დაღუპულია 149 ადამიანი.

ტერაქტებზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

პარალელურად სირიის ტერიტორიაზე მყოფმა ისლამისტებმა განახორციელეს დარტყმები ისრაელის ტერიტორიაზე. პასუხად ისრაელის ავიაციამ ისლამისტების პოზიციებს დაარტყა. ტერორისტებს შორის დიდი მსხვერპლია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახელმწიფო მოხელეს სამი წელი სამსახურში ეძინა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ავტოტრანსპორტის დეპარტამენტის თანამშრომელ ქალს თავის სამუშაო ადგილზე მუდმივად ეძინა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

თვითმხილველებმა გამომძიებლებს უამბეს, რომ ის ყოველდღე მოდიოდა ოფისში და მინიმუმ სამი საათი ეძინა. 2014 წლის თებერვლიდან 2017 წლის დეკემბრამდე მან დაახლოებით 2,2 ათასი სამუშაო საათი დასვენებას დაუთმო.



ქალმა ოფისში ძილი დაავადებით ახსნა. 2016 წელს მისმა მკურნალმა ექიმმა დაწესებულებას აცნობა, რომ მას ადრინდელი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება არ შეეძლო. მას სხვა თანამდებობა მისცეს, მაგრამ ის კვლავაც აგრძელებდა სამსახურში ძილს.

მისმა თანამშრომლებმა არაერთხელ მიმართეს საჩივრით ხელმძღვანელობას, თუმცა ამ ყოველივეს რეაგირება არ მოჰყოლია. ქალი სატრანსპორტო დეპარტამენტში მუშაობასა და იქ ძილს აგრძელებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები. მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს, მედლებს, ორდენებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ჟოზე მოურინიო: „ფეხბურთელები მაკლია“

მანჩესტერ იუნაიტედის თავკაცმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ ინგლისის პრემიერლიგა მსოფლიოში საუკეთესოა.



ჟოზე მოურინიო:

– თქვენ ფეხბურთში შეგიძლია იხილოთ 3 ნაირსახეობა: ხალხი იტალიაში სამომავლოდ ფეხბურთს რონალდუს გამო უფრო შეხედავს, ესპანეთში – მესის გამო, ინგლისში კი ფეხბურთს იმიტომ უყურებენ, რომ მათ მსოფლიოში საუკეთესო ლიგა აქვთ.

მოურინიომ მანჩესტერელთა წინასასეზონო სამზადისზე ისაუბრა და განაცხადა, რომ გუნდისთვის ძალიან ცუდი წინასასეზონო მზადება მიმდინარეობს და მოთამაშეების სრული განაცხადი არ არის.

– საჭიროა ითქვას, რომ ჩვენთვის პრესეზონი ძალიან ცუდად მიმდინარეობს. დიახ, რა თქმა უნდა, დადებითი მომენტებიც არსებობს. ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ეს არის შესანიშნავი შანსი, გაიგონ მათ, თუ რას ნიშნავს იყო მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელი, შანსი იმისთვის, რომ ითამაშო ტოპფეხბურთელების წინააღმდეგ. სამწვრთნელო შტაბში 3 ახალი ასისტენტი მყავს. ისინი ჩემს მოთხოვნებს გააცნობიერებენ და ახალ რეალობაში ერთად ვიმუშავებთ. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ორგანიზებული ეს პრესეზონი შესანიშნავია, ისევე, როგორც პირობები. აღელვებას სულაც არ გამოვხატავ იმიტომ, რომ ჩვენ ვეთამაშებით ლივერპულს, რეალსა და მილანს, არამედ იმიტომ, რომ გუნდში ფეხბურთელები სრულად არ მყავს. შევეცდებით, მაქსიმალურად შევავსოთ დანაკლისი.

მატჩი, დე ხეა და ფრედი მომავალ კვირაში შემოგვიერთდებიან. დაზუსტებით არ ვიცი, შემოგვიერთდება თუ არა ტურნეს განმავლობაში სანჩესი. ის ძალიან იმედგაცრუებულია. ეს ცუდი მდგომარეობაა მთლიანად გუნდისთვის. დამნაშავე ამ სიტუაციაში არავინაა. კლუბი ყველაფერს აკეთებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. პატივს ვცემ ამერიკის ხელისუფლებასა და მათი ვიზების გაცემის სისტემას. ვიმედოვნებ, სანჩესი დროულად შემოგვიერთდება. მნიშვნელოვანია მატას, მარსიალისა და სანჩესის შეთამაშება, ვფიქრობ, სეზონს ისინი დაიწყებენ შეტევაში.

ტრანსფერები? არ ვიცი, ვინ შემოგვიერთდება და ვინ – არა. ჩვენ შევიძინეთ ლი გრანტი, რადგან ჟოელ პერეირა ახალგაზრდა პერსპექტიული მეკარეა და სათამაშო პრაქტიკა ესაჭიროება, არენდით წავა. ჩვენ კი გრანტი გვეყოლება მის ნაცვლად. ფრედი? ეს არის ფეხბურთელი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ველოდებოდით, მან ჩვენი ნახევარდაცვა უნდა შეავსოს. თუმცა, მანამდე ხელფეხშეკრული ვმუშაობ.

ლივერპული 100 მილიონი გირვანქის შოვნას გეგმავს



ცნობილია იმ ფეხბურთელების სია, რომლებიც ამ ზაფხულს ლივერპულს დატოვებენ. საინტერესოა, რომ მერსისაიდელები ფეხბურთელებში საკმაოდ მსუყე თანხებს ითხოვენ. „წითლების“ სპორტული დირექტორი მაიკლ ედვარდსია და მისგან არაფერია გასაკვირი.

მერსისპირელები გაყიდული ფეხბურთელებისგან არც მეტი, არც ნაკლები, 100 მილიონ გირვანქა სტერლინგს ელოდებიან. კლუბის დატოვების პირას არიან დივოკ ორიჯი, დენი ინგსი, მარკო გრუიჩი, შეი ოჯო, ლაზარ მარკოვიჩი და სიმონ მინიოლე.

პრესეზონის თამაშებზე იურგენ კლოპმა ბელგიელ ორიჯიში სარგებელი ვერაფერი დაინახა და მისი ყიდვა მსურველებს, კერძოდ კი ვალენსიას 27 მილიონი გირვანქა დაუჯდება. ესპანური კლუბი ბელგიელის მიმართ საკმაოდ დიდ ინტერესებს იჩენს და პირველი წინადადებისთვისაც მზადაა.

ინგსი, რომელიც ამერიკულ ტურნეში არ მონაწილეობს, ეძებს გუნდს, რომელშიც სათამაშო დროს მიიღებს. საინტერესოა, რომ 26 წლის ფეხბურთელი საკმაოდ ბევრ ბრიტანულ კლუბს აინტერესებს: საუთჰემპტონი, კრისტალ პალასი, ღესტერი და ნიუკასლი. აღნიშნულ გუნდებს ინგლისელი ფორვარდი 20 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. კლუბსს ინგსის გაშვება მაინცდამაინც არ უნდა, მაგრამ აცნობიერებს მის მოთხოვნებს და ფეხბურთელს წასვლის ნებას რთავს.

გადასაწყვეტია მარკო გრუიჩის მომავალიც. ახალგაზრდა სერბი ერთწლიანი იჯარით კარდიფს აინტერესებს, თუმცა იტალიური ლაციო მზადაა, მარკოს კონტრაქტი გამოისყიდოს და ამისათვის 20 მილიონ გირვანქას ჩამოდის. თუმცა, მერსისაიდელებს ურჩევნიათ, რომ გრუიჩს ახალი კონტრაქტი გაუფორმონ და შემდეგ იჯარით გაასხვისონ. კარდიფთან თითქმის ყველაფერი მოგვარებულია და არჩევანი ლივერპულზეა.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელმაც ფანებს იმედები გაუცრუა, ოჯოაა. ფეხბურთელი, რომელმაც გასული სეზონი იჯარით ფულემში გაატარა, წასასვლელად ემზადება. ვინც ოჯოას ყიდვას გადაწყვეტს, მაშინ 15 მილიონის გადახდაც მოუწევს, თუ არადა, ფეხბურთელი კვლავ იჯარით წავა სადმე.

20 მილიონის აღებას გეგმავს მისტერ ედვარდსი კიდევ 2 ფეხბურთელში – მარკოვიჩსა და მინიოლეში. საინტერესოა, რომ ორივე ფეხბურთელისადმი ინტერესებს იჩენენ. მარკოვიჩის სამსახურით ანდერლეხტი, ღეგანესი და ხეტაფე არიან დაინტერესებულნი, ხოლო მინიოლე ფულემს სურს.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ „წითლების“ ახალგაზრდა ფორვარდმა ტაიოვო აივონიმ კლუბთან გრძელვადიანი კონტრაქტი გააფორმა და ერთწლიანი იჯარით გენტს მიაშურა, სადაც გიორგი ქვილითაიას, გიორგი ჩაკვეტაძესა და გიორგი ბერიძეს გაიცნობს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

დავით თარგამაძე: „ჩემი ფეხბურთი ჯერ არ დამთავრებულა“

გახსოვთ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი დავით თარგამაძე? „თაგვი“ ერთ-ერთი გამორჩეული იყო ჩვენს ნაკრებში, მაგრამ შემდეგში ტრავმა მიიღო, რის გამოც 2 წელი გაუცდა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თარგამაძე მოედანს უბრუნდება – 28 წლის ნახევარმცველი საფეხბურთო კარიერას საბურთალოში გააგრძელებს და დედაქალაქელებთან ერთად ეცდება წარმატების მიღწევას.

რამდენად რთულია ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოედანზე დაბრუნება, ამას თავად ფეხბურთელი გასცემს პასუხს, რომელიც ასევე სხვადასხვა საინტერესო საკითხზე საუბრობს.

დავით თარგამაძე:

– წვივის ძვლის მოტეხილობა მქონდა, რის გამოც ძალიან დიდი დრო გამიცდა. მადლობა ღმერთს, რომ ფეხი აღარ მაწუხებს და შემიძლია ვარჯიში. გუნდთან ერთად რომ ჩავერთე საწვრთნელ პროცესში, მივხვდი რომ ყველაფერი კარგად იყო. ამ ხნის განმავლობაში 3 ოპერაცია გავიკეთე, რთული დრო გავიარე, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი დავიწყებულია და ცხოვრების ახალ ეტაპს ვიწყებ.

– როგორ დაიწყო თქვენი და საბურთალოს ურთიერთობა?

– საქართველოს ჩემპიონატს თვალს სისტემატურად ვადევნებ, საბურთალომ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. როდესაც ტრავმამ გამიარა და გადავწყვიტე ვარჯიშის დაწყება, მთავარ მწვრთნელ გიორგი ჭიაბრიშვილს ვთხოვე კლუბში თუ იყო ვარჯიშის დაწყების შესაძლებლობა. გიორგი გვერდში დამიდგა და დავიწყე ვარჯიში. სწორედ, მისი დიდი დამსახურებაა, რომ დღეს საბურთალოს ფეხბურთელი ვარ. რამდენიმე შემოთავაზება მქონდა უკრაინიდან, სადაც კარიერის დიდი ნაწილი გავატარე, მაგრამ უარი ვთქვი. უცხოეთში რომ მიდიხარ, კარგად უნდა წარმოაჩინო თავი. ჯერ სპორტული ფორმა მაქვს აღსადგენი, ევროპაში ასპარეზობას მომავალშიც შევძლებ.

– საბურთალოში თვეზე მეტია ვარჯიშობთ. მანამდე რა ინფორმაცია გქონდათ თქვენს ახალ კლუბზე?

– ვიცოდი, რომ კლუბი ახალგაზრდული იყო, ამბიციური და პერსპექტიული. ფეხბურთელების უმეტესობას არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ მათი დიდი ნაწილი ასაკობრივ ნაკრებებში თამაშობდა. საბურთალოს დიდი მიზნები და გეგმები აქვს, მჯერა ეტაპობრივად ყველაფრის მიღწევას შეძლებს.

– რა იყო პირველი, რაზეც საბურთალოზე არჩევანი შეაჩერეთ?

– თბილისური კლუბის სათამაშო სტილი, ჩემს გემოვნებაში ჯდება. საბურთალო სწრაფი, შემტევი და სანახაობრივი სტილის მიმდევარია. შეიძლება ითქვას, რომ მსგავს ფეხბურთს არცერთი ქართული გუნდი არ თამაშობს. გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ საქართველოში საბურთალო გამორჩეული კლუბია. ბევრისგან მსმენია კლუბის ხელმძღვანელების სწორი ხედვა ფეხბურთისადმი. არ შეიძლება ამ ყოველივემ შედეგი არ მოიტანოს. უბრალოდ, ყველაფერს დრო სჭირდება.

– გამოცდილი ფეხბურთელი ხართ, რომელსაც ევროპის რამდენიმე წამყვან კლუბში გითამაშიათ. თქვენი გადმოსახედიდან, კლუბის ამ შემადგენლობას შეუძლია ჩემპიონობის მოპოვება?

– არა მხოლოდ საქართველოს ჩემპიონობა, არამედ ამ კონტინგენტს რომელიმე ევროტურნირზე ღირსეული და წარმატებული თამაში შეუძლია. ევროსარბიელზე მთავარია, ფიზიკურად კარგად წარმოაჩინო თავი და 90 წუთი ბოლომდე იბრძოლო. ქართველები ოდითგანვე გამოვირჩეოდით ტექნიკით, მაგრამ ჩვენი მთავარი პრობლემა ფიზიკური კონდიციების კარგად წარმოჩენაა.

– ეროვნული ლიგის მატჩებს ესწრებით. რა სხვაობას ხედავთ ახლანდელ პირველობასა და რამდენიმე წლის წინ გამართულ ჩემპიონატებს შორის?

– ეროვნულ ლიგაში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობს, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა დიდი ფეხბურთი ითამაშონ. უბრალოდ, ამ ახალგაზრდებს სწორი მიმართულება და ხელშეწყობა უნდათ. რაც შეეხება უშუალოდ პირველობას, რა თქმა უნდა, სათამაშო დონე არ არის სასურველი და გვინდა, რომ უფრო მაღალი დონის პირველობა გვქონდეს, მაგრამ ამაზე ფეხბურთის ფედერაციაში ბევრს მუშაობენ. მჯერა, შრომა შედეგს გამოიღებს. ჩემპიონატი რომ არ არის სასურველი, სტადიონზე გულშემატკივრების დასწრების რაოდენობითაც გამოიხატება, თუმცა, იმედი მაქვს, ქომაგი სტადიონზე ისევ დაბრუნდება.

– რას ეტყვის დავით თარგამაძე თავის გულშემატკივარს?

– გულშემატკივრებს ვეტყვი, რომ ჯერ არ დამთავრებულა ჩემი საფეხბურთო კარიერა. მჯერა, საბურთალოსთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწევ და ქართველი ქომაგების გულს გავახარებ.

„სამტრედიაში მუშტებით ჩხუბი ფეხბურთელებსა და მწვრთნელს შორის სამჯერ ვიხილე“

ქართული ფეხბურთის პრობლემებზე ბევრჯერ გვითქვამს, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენ ვიცოდით. ახლა კი ჩვენი „კაიბიჭობის“ ამბავი უკვე საზღვრებს გასცდა...

გეხსომებათ, სამტრედიაში ჰოლანდიელი ფეხბურთელი ვინსენტ ვეილი თამაშობდა. თუმცა, თამაშობდასაც ვერ ვიტყვით – გუნდში ირიცხებოდა და მოედანზე იშვიათად გადიოდა. არადა, როგორც ჩანს, ვეილს საკმაოდ მსუყე ხელფასიც ჰქონდა, მაგრამ პროფესიონალია და მარტო ხელფასს ფეხბურთის თამაში არჩია. ამასთან, თუ ვეილის დავუჯერებთ, სამტრედიაში არცთუ დალხინებული ცხოვრება ჰქონდა. პრინციპში, მარტო მას არა...

თავი რომ არ შეგაწყინოთ, ვნახოთ, რას ამბობს ვეილი ჰოლანდიურ მედიასთან.

ვინსენტ ვეილი:

– საქართველოში ინგლისელი აგენტის მეშვეობით მოვხვდი. იანვრის შუა რიცხვებში ჩავედი. აგენტმა მითხრა, რომ სამტრედიამ გასულ ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშა, ხოლო მიმდინარე სეზონში ევროპა ლიგაზე უწევდა გამოსვლა. ასევე მითხრა, რომ ამბიციური კლუბია, ბევრი ახალი ფეხბურთელი მიიწვიეს და მეც მიღირდა იქ თამაში.

ვეილი გუნდს თურქეთში, შეკრებაზე შეუერთდა. როგორც ჩანს, იქაც არ იყო კარგად იყო ყველაფერი, ხოლო მოვლენების შემდგომ განვითარება საერთოდ მოულოდნელი აღმოჩნდა ჰოლანდიელი ფეხბურთელისთვის.

იმერულ კლუბში რომ პრობლემები იყო, გაგებული გვქონდა, მაგრამ საქართველოში ამბის გარეთ გატანა ხომ არ შეიძლება. თანაც, ადრეც დავწერეთ, რომ სამტრედიაში რამდენჯერმე გადავწყვიტეთ დაკონტაქტება, იმდენჯერ უარი მივიღეთ. სამაგიეროდ, ვეილიმ მომხდარს ფარდა ახადა.

– თურქეთში წავედით შეკრებაზე და ერთი თვე დავრჩით. თურქეთშივე გაირკვა, რომ სეზონის დასაწყისს, დაახლოებით 6-7 თვეს, საქართველოს დედაქალაქ თბილისში გავატარებდით, რადგან სამტრედიაში სტადიონის რეკონსტრუქცია იწყებოდა. ეს ამბავი უცხოელ ფეხბურთელებს გაგვიხარდა, რადგან შევიტყვეთ, რომ სამტრედია პატარა, თანამედროვე სამყაროსგან შორს მყოფი ქალაქი იყო. შეკრებიდან საქართველოში ჩასულები, მართლაც კომფორტულ ბინებში დაგვასახლეს, თანაც, ქალაქის ცენტრში. საწვრთნელი პროცესიც მშვენივრად მიმდინარეობდა. გავიდა მცირე დრო და ყველაფერი შეიცვალა. შიდა პრობლემები თურქეთის შეკრებაზეც ჩანდა. ქართველი ფეხბურთელები ერთმანეთს ებრძოდნენ. ჩემპიონატში პირველი ტური მოვიგეთ, მაგრამ მერე ზედიზედ წავაგეთ რამდენიმე მატჩი. მუშტებით ჩხუბი ფეხბურთელებსა და მწვრთნელს შორის სამჯერ ვიხილე. ასევე, დავბრუნდით პატარა სოფელში, სადაც დაფუძნებული იყო კლუბი.

ცხადია, ასეთ ატმოსფეროში ფეხბურთელს გუნდში ყოფნა გაუჭირდებოდა. ამ ამბავმა მაშინ გამოჟონა, როდესაც გუნდიდან წავიდნენ ომარ მიგინეიშვილი, ბუბა დაუშვილი და ამოს ნონდი. როგორც ჩანს, სამტრედიიდან წასვლას სხვებიც ფიქრობდნენ.

– ჩემ გარდა, ასევე იყვნენ ფეხბურთელები, რომლებიც სამტრედიაში მომავალს ვერ ხედავდნენ. ატმოსფერო ცუდი იყო. ვთქვი, რომ კონტრაქტის შეწყვეტა მინდოდა. მაგალითი დავანახე, რომ ფული ყველაფერს არ ნიშნავს. ბედნიერება და სიმშვიდე ვარჩიე კარგ ხელფასს. ბევრ ქვეყანაში მითამაშია, მაგრამ საქართველო ყველაზე ცუდ ეტაპად დარჩება ჩემს კარიერაში. ჰოლანდიაში დავბრუნდი და ახალი მიზნები დავისახე.

ფეიდეგები

25 ივლისი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ბატე-ჰიკი	0:0
კუკეში-ყარაბაღი	0:0
ლუდოგორეცი-ვიდეოტონი	0:0
აიაქსი-შტურმი	2:0
სელტიკი-რუსენბორგი	3:1

უჰაინა. ჰიემიეჩლიგა

დენა-შახტარი	0:2
დინამო-ვორსკლა	1:0

ძალოსნობას ოლიმპიადიდან ამოიღებენ?

საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ოლიმპიური სახეობა, ძალოსნობა, საფრთხის წინაშეა. პარალელურად, ჩვენი მედლების მოპოვების რაოდენობა ოლიმპიურ თამაშებზე, შესაძლოა, შემცირდეს.

საქმე ის არის, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მკაფიო მოთხოვნები წაუყენა კრივისა და ძალოსნობის მსოფლიო მმართველ ორგანიზაციებს, რომლებიც ტოკიოს 2020 და პარიზის 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებში მათი სახეობებისთვის ადგილის შესანარჩუნებლადაა საჭირო.

ოლიმპიური კომიტეტის შეფები ძალოსნობაში მომრავლებული ანტისადოპინგო წესების დარღვევით არის უკმაყოფილო, ხოლო კრივთან დაკავშირებით მისი პრეტენზია ფინანსური და მმართველობითი ხასიათისაა.

ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს მიერ შარშან დეკემბერში წაყენებული მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, ძალოსნობა 2024 წლის თამაშების პროგრამაშიც შევა. თუ არადა, 2020 წელი ძალოსნებისთვის ბოლო ოლიმპიადა იქნება. რაც შეეხება ტოკიოს 2020 წლის თამაშების პროგრამაში კრივის ჩართვას, ეს საკითხიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის დღის წესრიგშია შეტანილი.

სპორტის ამ სახეობების ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შენარჩუნების საკითხს ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე (ტოკიო, 30 ნოემბერი – 2 დეკემბერი) განიხილავენ.

ძალოსნობის ამოღება ოლიმპიური თამაშებიდან კი საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დარტყმა იქნება. ლაშა ტალახაძე ოლიმპიური ჩემპიონია და ისეთ გზაზე დგას, რომ კიდევ 12 წელი მისთვის ოქროს მედლის წართმევა ურთულესი იქნება. ამასთან, ტალახაძის კვალდაკვალ რამდენიმე ახალგაზრდა ძალოსანი მოდის, რომელთა მედლების მომავალ ოლიმპიადებზე გვეიმედება.

ამერიკელმა ლატარიაში ნახევარი მილიარდი დოლარი მოიგო

კალიფორნიის შტატის მცხოვრებმა ლატარიაში ნახევარი მილიარდი დოლარი მოიგო. ამ ინფორმაციას საკუთარ გვერდზე ლატარია მეგა მილიონი ავრცელებს.

ამერიკელმა ბედნიერი ბილეთი ქალაქ სანხოსეს ერთ-ერთ მაღაზიაში იყიდა. ექვსივე ციფრი მომგებიან კომბინაციას „1 2 4 19 29 20“ დაემთხვა და მის მფლობელს 522 მილიონი დოლარის მოგება მოუტანა.

კომპანიის ხელმძღვანელმა გორდონ მედენიცამ იღბლიან ამერიკელს მიულოცა და აღნიშნა, რომ მისი მოგება ლატარიის ისტორიაში ზომით მეხუთეა.

ლატარიის გათამაშების კიდევ რვა მონაწილემ ექვსიდან ხუთი ციფრი გამოიცნო. მათგან ექვსი მილიონ დოლარს მიიღებს თითოეული, ხოლო ორს სამ-სამი მილიონი ერგება.

პავარის გოლი მსოფლიოს ჩემპიონატზე საუკეთესოდ აღიარეს

ახლახან დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 64 მატჩში 169 გოლი გავიდა. ფიფამ და ჰიუნდაიმ ფანების გამოკითხვის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო გოლად ფრანგი განაპირა მცველის, ბენჟამენ პავარის სუპერგოლი შეარჩიეს არგენტინის ნაკრების კარში. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მუნდიალის საუკეთესო გოლად ევროპელი ფეხბურთელის მიერ გატანილი ბურთი დასახელდა. საუკეთესო გოლის გამოკითხვა 2006 წლიდან ტარდება და წინა გამარჯვებულები მუდმივად სამხრეთამერიკელი ფეხბურთელები იყვნენ: არგენტინელი მაქსი როდრიგესი (2006), ურუგვაიელი დიეგო ფორლანი (2010) და კოლუმბიელი ხამეს როდრიგესი (2014).

რუსეთში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესოობაზე სულ 18 გოლი აცხადებდა პრეტენზიას. 22 წლის პავარის დარტყმას 3 მილიონ გამოკითხულთა შორის ყველაზე მეტი ხმა ჰქონდა. მეორე ადგილზე გავიდა ხუან კინტეროს (კოლუმბია) საჯარიმო დარტყმა იაპონიის ნაკრების კარში. მესამეზე კი – ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის ლუკა მოდრიჩის (ხორვატია) გოლი არგენტინის ნაკრებთან შეხვედრაში.

ბენჟამენ პავარი:

– ბურთი ოდნავ მაღლა ახტა და ჩემამდე ისე მოვიდა. არც კი ვფიქრობდი ამაზე, შევეცადე, ისე დამეხვედრებინა ბურთისთვის ფეხი, რომ რაც შეიძლება დაბლა წასულიყო. ფორვარდები ყოველთვის მეუბნებიან, რომ ბურთი ასეთ შემთხვევაში იმავე მიმართულებით უნდა დაარტყა, საიდანაც მოდის, მეც ზუსტად ასე ვცადე. არ მეგონა, რომ გადიოდა და, როცა ბურთი ბადეში დავინახე, ძალიან ბედნიერი ვიყავი.

შეგახსენებთ, რომ მუნდიალის ერთ-ერთმა აღმოჩენამ ეს გოლი საფრანგეთ-არგენტინის (4:3) მერვედფინალურ შეხვედრაში გაიტანა. მომავალი მსოფლიოს ჩემპიონები 1:2 აგებდნენ, როცა ლუკა ერნანდესმა მარცხენა ფრთიდან ჩაწოდა, პავარის შორეული დარტყმა მოუმზადებლად ძალზე ეფექტური იყო. სწორედ ამ გოლმა შეიტანა მატჩში გარდატეხა და საბოლოოდ ფრანგებმა მეოთხედფინალში გასვლა შეძლეს.

ხერხემალდაზიანებული პარაშუტისტი ძველ საქმიანობას უბრუნდება

ავსტრალიელი ემა ქერი, რომელმაც პარაშუტით გადმოხტომის შემდეგ ხერხემალი დაიზიანა, ისევ აპირებს პარაშუტით გადმოხტომას.

დაახლოებით ხუთი წლის წინ ქალაქ კვინსლედის მცხოვრები გოგონა შვეიცარიაში გაემგზავრა, სადაც პარაშუტით გადმოხტომის დროს მიწაზე მუცლით დაეშვა და სერიოზული დაზიანებები მიიღო. მან მოიტეხა ხერხემალი და დაემსხვრა თეძოს ძვალი. ქერის ახლიდან მოუწია სიარულის სწავლა, მაგრამ საშარდე ბუშტისა და ნაწლავის გახეთქვის გამო შეუკავებლობა აწუხებს.

– ხუთი წლის შემდეგ ევროპაში, შვეიცარიაში ვბრუნდები, სწორედ იქ, სადაც ეს ყოველივე მოხდა და ვერაფრით წარმომიდგენია, თუ ეს ჩემში რა გრძნობებს გამოიწვევს, – დაწერა მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე. ქერიმ აღიარა, რომ ერთი იქ დაბრუნებაზე ფიქრი მასში პანიკას იწვევს, მაგრამ მან მტკიცედ გადაწყვიტა, ის დაძლიოს, რათა საბოლოოდ დაემშვიდობოს ძველ შიშებს.

გოგონამ აღნიშნა, რომ ყველაზე მეტად მას არა თავად ნახტომი აშინებს, არამედ – სახლში დაბრუნება, ვინაიდან სწორედ მას შემდეგ შეიცვალა კარდინალურად მისი ცხოვრება. მან ასევე დაამატა, რომ, მართალია, ძალიან უყვარს მოგზაურობა, მაგრამ ამას ძნელად ახერხებს და ბევრჯერ გამგზავრებაზე უარი ბოლო მომენტში უთქვამს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქართველი ძიუდოისტები ხორვატიაში იჭიდავებენ

ხვალ ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში ძიუდოს გრან პრი იწყება, სადაც მონაწილეობას საქართველოს ნაკრებიც მიიღებს.

ეს იქნება ნაკრების პირველი ტურნირი, რომელშიც ცნობილი მოვლენების შემდეგ იასპარეზებენ. შეგახსენებთ, ნაკრების მოჭიდაველები გაფიცული იყვნენ და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტ დავით ქევხიშვილის გადადგომას ითხოვდნენ. ამ პროცესმა თვეზე მეტი გასტანა და გუნდიც ეს პერიოდი უვარჯიშებელი იყო.

საბოლოოდ, ქევხიშვილი გადადგა, ნაკრები დარბაზში სავარჯიშოდ შევიდა და უკვე პირველ ტურნირზეც ცდიან ძალებს. ერთია, ხორვატიაში ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით არ მიემგზავრება. არა, ამჯერად კონფლიქტი არაფერ შუაშია – უბრალოდ, ზაგრების გრან პრი არც ისე პრესტიჟულია და ძალებს ნაკრების პოტენციური კანდიდატებიც მოსინჯავენ. თუმცა, ხორვატიაში კარგად ხნის შესვენების შემდეგ იჭიდავებს ავთანდილ ჭრიკიშვილი (90 კგ) და მძიმე წონაში ნაკრების უდავო ლიდერი გურამ თუშიშვილი.



საქართველოს ნაკრების სრული შემადგენლობა ასეთია:

ლაშა ჩადუნელი (60 კგ), თორნიკე ნაგლიაშვილი (66 კგ), თამაზ კირაკოზაშვილი, თორნიკე მჭედლიშვილი (81 კგ), გიორგი პაპუნაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი (90 კგ), ლაშა ტაველური (100 კგ), გურამ თუშიშვილი, გიორგი ქავთარაძე (+100).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

27 ივლისისთვის

ვერძი – ეს დღე წინააღმდეგობრივია და სასიცოცხლო პოტენციალის სწრაფი ზრდით აღინიშნება. მიენდეთ ინტუიციას. **კურო** – ცვლილებების დროა. ენერგიულად და ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. ავანტიურისტებს ნუ აჰყვებით. **ტყუპები** – მოსალოდნელია როგორც დადებითი, ისე – ნეგატიური ცვლილებები. ნებისმიერ შემთხვევაში მოვლენები თქვენ სასარგებლოდ ვითარდება. **კირჩხიბი** – წარუმატებელი პერიოდი დამთავრდა. ბედი გწყალობთ. მეგობრები გეხმარებიან. **ლომი** – ფანტაზიას გასაქანი მიეცით. იმოქმედეთ თამამად და ახალი იდეების რეალიზაციას დაუყოვნებლივ შეუდექით. ხელი არ გეშლებათ. **ქალწული** – იმუშავეთ თავმდაბლად და გაითვალისწინეთ სხვების გამოცდილება. ხელმძღვანელობასთან საკუთარი პრინციპების დაცვა არ გამოგადგებათ. **სასწორი** – გააანალიზეთ წარსულში დაშვებული შეცდომები. საქმიანი შეხვედრები წარმატებით დაგვირგვინდება. **ღრიანკალი** – შესაფერისი დღეა ცოდნის გასაფართოებლად, პროფესიონალიზმის სრულყოფისათვის. უქმად ნუ გაჩერდებით. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სიტუაციაში საღი აზრი შეინარჩუნეთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. ვარსკვლავები თქვენ მიმართ ძალზე კეთილგანწყობილნი არიან. **თხის რქა** – საკუთარი შესაძლებლობები ადეკვატურად შეაფასეთ. ზედმეტ პასუხისმგებლობას ნუ აიღებთ. **მერწყული** – მეგობრებთან და უფროსობასთან ურთიერთობები საკმაოდ ნაყოფიერია. ახალი ნაცნობობა საინტერესო პერსპექტივებს გპირდებათ. **თევზები** – მძიმე დღეა. სულიერ განვითარებას მეტი ყურადღება მიაქციეთ. ჯანმრთელობა გაიკაჟეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, კინორეჟისორი მამაკაცი; 2. მდგომარეობა ჭიდაობაში; 3. საფოსტო მარკების შეგროვება; 4. ქართული მითოლოგიის გმირი; 5. ექიმის სპეციალობა; 10. კომუნისტთა ბელადი; 11. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 12. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 13. ქართველი მოდელიერი ქალი; 16. მეცნიერება რეაქტიული საარტილერიო ჭურვების მოძრაობის შესახებ; 17. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი; 19. უბანი თბილისში; 21. მეტალურგიაში ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 23. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი.

თარაზულად: 6. უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი; 7. ტბა გულრიფშის რაიონში; 8. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 9. ფრანგ მწერალ ანრი ბეილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 14. თურქეთის პრეზიდენტი; 15. სტადიონი კარდიფში; 18. ვულკანიდან ამოფრქვეული გავარვარებული სილიკატური მასა; 20. მიწაში ბინადარი მღრღნელი ცხოველი; 22. თირკმლების ანთება; 24. აეროპორტი კაიროში; 25. ლიეტუას დედაქალაქი; 26. მწყრის მართვე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კოდა; 2. ასთმა; 3. აღაპი; 4. ღალია; 5. იზორია; 6. ბაიადერა; 8. კრონპრინცი; 10. ტოჩინოშინი; 11. კალვადოსი; 14. ეგზემა; 15. ალკალა; 16. დოგმა.

თარაზულად: 1. კატანია; 4. ღლიღვები; 7. დენთი; 9. პიეტა; 12. საირმე; 13. ფობია; 14. ევროპა; 17. ტირადა; 18. სფიგმოგრამა; 19. ბიონიკა; 20. კაბურა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ენისელი; 2. ბერიკები; 3. ანტრაციტი; 4. ყაზბეგი; 5. კომპრომისი; 10. ტოიოტა; 11. პანთეონი; 12. ყვირილა; 13. ბავარია; 16. ინტერნეტი; 17. მათუსალა; 19. ომნიბუსი; 21. დრონი; 23. იარდი.

თარაზულად: 6. ანტვერპენი; 7. სადროშო; 8. სენაკი; 9. კარაველა; 14. ტაშკენტი; 15. ჰაინეკენი; 18. რანჩო; 20. ბანკეტი; 22. ჰაიდუკი; 24. კრუიზი; 25. სელადონი; 26. ნადალი.

თინათინ მღვდლიაშვილი ბათუმის ბულვარისთვის დავით აღმაშენებლის სახელის მინიჭებას ითხოვს

პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი მოითხოვს, ბათუმის ბულვარს დავით აღმაშენებლის სახელი მიენიჭოს და იქვე დაიდგას მისი ძეგლიც:

– შემოუერთდით მამულიშვილურ მოთხოვნას! ქართველი ერი მოითხოვს, რომ ბათუმის ბულვარს ეწოდოს საქართველოს სახელგანთქმული მეფის, დავით აღმაშენებლის სახელი და იქვე დაიდგას აღმაშენებლის ძეგლი! ასეთია ქართველი ერის სურვილი და მისი ნების წინააღმდეგ წამსვლელს სამუდამოდ შეაჩვენებს საქართველოს ისტორია!

ხმა ღვთისა და ხმა ერისა! შემოუერთდით ამ მოთხოვნას, ჩემო მამაცო ქართველებო! დავიბრუნოთ ჩვენი ქვეყნის მტრის მიერ დაკარგული – არა, მაგრამ შელახული ღირსება! შემოგვიერთდით, ძმებო და დებო, საქართველოსთვის თავდადებულო აჭარლებო!.. ჩვენო საამაყო სისხლო და ხორცო!..

დიდი მოწამის, სელიმ ხიმშიაშვილის ანდერძის გამგრძელებლებო!.. გაგახსენებთ მის ისტორიულ შეძახილს, ვიდრე თავს მოჰკვეთდნენ: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალოს არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებ“ – სელიმ ხიმშიაშვილი. 1815 წელი, 3 ივლისი. და კიდევ, არ დაივიწყოთ, რომ მაჰმუდ-ფაშას ბრძანება შეასრულა არტანუჯში მცხოვრებმა სომეხმა სოვდაგარმა რომელმაც 10 ოქროს ფასად მოჰკვეთა თავი საქართველოსთვის წამებულ გმირს!.. სელიმ ხიმშიაშვილის თავი დაკრძალულია სტამბოლში, კონსტანტინოპოლში, ხოლო მისი ნეშტი – აჭარაში, სოფელ ნიგაზეულში. სელიმ ხიმშიაშვილის საფლავზე ხარობს მუხა და ნაძვი, ნაძვი, როგორც საქართველოს მარადიულობის სიმბოლო, ხოლო მუხა – სიძლიერისა და დაუმარცხებლობის სიმბოლო!..

დიდგორის ომში მებრძოლ წმინდა გიორგის შევთხოვოთ დახმარება!.. მისი ძლევამოსილი მახვილით დამარცხებული გვეხილოს ჩვენი სამშობლოს ავის მოსურნენი, ქვეგამხედვარნი, ავად მზერნი და მზვერავნი!

აბა, გავერთიანდეთ, ჩემო ქართველებო! – აჭარლებო, კოლხებო, ლაზებო, იმერლებო, გურულებო, კახელებო, ქართლელებო, რაჭველებო, თუშ-ფშავ-ხევსურებო, მოხევეებო, სვანებო, ჰერებო, აფხაზებო, ლეჩხუმელებო, ჯავახებო, მესხებო, ტაო-კლარჯეთელებო! გავერთიანდეთ საქართველოსთვის!

პ.ს. თქვენც შემოგვიერთდით, საქართველოში მცხოვრებო უცხოტომელებო, საქართველოსგან ათასგზის გადარჩენილებო, ჟამიდან-ჟამს მოხერხებულად რომ გვირტყამთ ზურგში ლახვარს! თქვენ, ქართულ კულტურასა და პურ-მარილზე გამოზრდილებო, თქვენი ერების ისტორია, აგერ, ჩვენ თვალწინ რომ იწერება! ნუ იჩენთ უმადურობას! იცოდეთ, განიკითხებით უფლის სამსჯავროზე!.. თუ საქართველოს მოქალაქეები ხართ, ერთხელ მაინც იქართველეთ და... შემოგვიერთდით!

დარია სუხიშვილი ფოტოგამოფენას მოაწყობს



ილიკო სუხიშვილის შვილი, დარია სუხიშვილი, ფოტოგრაფიით არის გატაცებული.

დარია ფართო საზოგადოებას თავის ნამუშევრებს პირველად წარუდგენს.

31 ივლისს კინოთეატრ „ამირანში“ ფოტოგამოფენა გაიხსნება, რომელსაც საქართველო-ინდოეთის კულტურულ ურთიერთობათა პალატა წარმოადგენს.

დარია სუხიშვილი წარადგენს ფოტოებს ქართულ ნაციონალურ ბალეტ „სუხიშვილების“ საგასტროლო მოგზაურობიდან.

გამოფენაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ფანასკერტელის ქუჩის მე-19 კორპუსის მცხოვრებლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ გაბუნია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეზიკო ხარჩილავას ხსოვნას!

ორი წელი გავიდა, რაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლე, ყველასთვის საყვარელო, გულისხმიერო, ჰუმანურო რეზიკო! უზომოდ ენატრები და აკლიხარ შენს მეუღლეს, ვაჟიშვილებს, მშობლებს!

დაუვიწყარი ხარ შენი განუმეორებელი ღიმილით!

ნათელში გამყოფოს უფალმა!

კუსუნა და გოჩა მზარელუები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ნანი ბრეგვაძე კრის ბოტისთან ერთად კონცერტს გამართავს

16 აგვისტოს ბლექ სი არენაზე 82 წლის ნანი ბრეგვაძე კონცერტს გამართავს.

ნანი ბრეგვაძის შემოქმედებითი საღამოს სპეციალური სტუმარი „გრეის“ მფლობელი მესაყვირე კრის ბოტი იქნება.

კონცერტში ასევე მონაწილეობას მიიღებენ ნიკოლოზ რაჭველი, ეკა მამალაძე, ნატალია ქუთათელაძე, ნინო ქათამაძე, სტეფანე მღებრიშვილი და საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი.

სპეციალურად ამ საღამოსთვის მომზადდება განსაკუთრებული საკონცერტო პროგრამა, რომელიც მსმენელს გაახსენებს როგორც ძველ და კარგად ნაცნობ სიმღერებს, ასევე ახალი მუსიკალური ნომრებით დაატკბობს.



„ექვთიმეს“ რეჟისორმა ფილმის ოსკარზე წარდგენა გადაწყვიტა

მხატვრული ფილმის „ექვთიმეს“ რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ ფილმის ოსკარზე წარდგენა გადაწყვიტა.

ფილმი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებაზე მოგვითხრობს და მასში მთავარ როლს რეზო ჩხიკვიშვილი ასრულებს. ფილმს შემოქმედებითი ჯგუფი რამდენიმე წლის განმავლობაში კეთილი ადამიანების მიერ შეწირული ფულით იღებდა, რადგან კულტურის სამინისტრომაც და ეროვნულმა კინოცენტრმაც ფილმის დაფინანსებაზე უარი განაცხადეს.

ეროვნულმა კინოცენტრმა ოსკარის უცხოენოვანი ნომინაციისთვის საქართველოდან კანდიდატი ფილმის შესარჩევი კონკურსი უკვე გამოაცხადა.

ნიკოლოზ ხომასურიძე:

– ვგეგმავთ, ექვთიმეს ფილმით მონაწილეობა მივიღოთ საქართველოდან ოსკარის უცხოენოვანი მხატვრული ფილმის ნომინაციისთვის წარსადგენი ფილმების შერჩევაში და გვაინტერესებს თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.

„ღამის სერენადები“ 10 წლის იუბილეს აღნიშნავს

ლიანა ისაკაძის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები“ წელს ათი წლის იუბილეს აღნიშნავს.

ბათუმი-თბილისის X საიუბილეო ფესტივალი „ღამის სერენადები“ 26 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით ორ ქალაქში გაიმართება.

ფესტივალი 1982 წელს ცნობილი ქართველი მევიოლინისა და დირიჟორის, განუმეორებელი მუსიკოსის ლიანა ისაკაძის ინიციატივით საქართველოს უმშვენიერეს მხარეში, აფხაზეთში დაარსდა. 1991 წელს ფესტივალმა არსებობა შეწყვიტა. მისი აღდგენა მხოლოდ 18 წლის შემდეგ, 2009 წელს გახდა შესაძლებელი შავიზღვისპირეთის ულამაზეს ქალაქ ბათუმში, რომლის უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი კვლავ ლიანა ისაკაძეა.

წელს ფესტივალს სამხატვრო ხელმძღვანელობას ქალბატონ ლიანასთან ერთად მისი ძმისწული გერმანიაში მოღვაწე მუსიკოსი გიორგი ისაკაძე გაუწევს, რომელიც ქალაქ ინგოლშტადტში მუსიკალური სასწავლებლისა და ასევე მიუნხენში ცეკვისა და მუსიკის აკადემიის დამაარსებელი და ხელმძღვანელია.

წლების განმავლობაში ფესტივალისადმი დიდმა ინტერესმა მისი გეოგრაფიის გაფართოება განაპირობა, რის გამოც 2015 წლიდან თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით ფესტივალს ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალი ეწოდა.

2018 წელს ფესტივალი 26, 28 და 29 აგვისტოს ბათუმში სასტუმრო „შერატონ ბათუმის“ საკონცერტო დარბაზში ჩატარდება, ხოლო 2 და 4 სექტემბერს თბილისში – კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება.

2011 წლიდან ფესტივალის საბაზო ორკესტრია ლიანა ისაკაძის მიერ შექმნილი მსოფლიო კამერული ანსამბლ-ორკესტრი „ვირტუოზები“, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა 2013 წელს ლონდონში, 2014 წელს ნიუ იორკში, ხოლო 2016 წელს – შვეიცარიაში გამართული საქველმოქმედო კონცერტებით. 2018 წელს ორკესტრი დაკომპლექტდა უცხოეთში და საქართველოში მოღვაწე ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსებით და ეწოდა „საქართველოს ვირტუოზები“, – აღნიშნავს კომპანია არტ ალიანსის და ფესტივალის დირექტორი ნინა ცაგარელი.

წლევანდელ საიუბილეო ფესტივალში მონაწილეობენ ცნობილი მუსიკოსები – პიანისტი ალექსანდრე კორსანტია (აშშ), დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი (საქართველო/ბელგია), მევიოლინე გია იაშვილი (საქართველო/ავსტრია), მევიოლინე გეზა ჰოსზუ-ლეგოცკი (უნგრეთი/შვეიცარია), გიტარისტი სოფია ბოროსი (ავსტრია/უნგრეთი), ბანდონეონისტი მარიო სტეფანო პიეტროდარჩი (იტალია), კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილი (ისრაელი/საქართველო)...

ნინა ცაგარელი, ფესტივალის დირექტორი:

– წელს ისევ შენარჩუნდება ქალბატონი ლიანა ისაკაძის ფესტივალის უნიკალური ფორმატი და სულისკვეთება, თუმცა იქნება ბევრი სიახლე იუბილესთან დაკავშირებით. დავგეგმოთ სასიამოვნო საღამოები კლასიკური მუსიკის თანხლებით.

პროგრამა იქნება ძალიან მრავალფეროვანი, გვეყოლება სოლისტები აშშ-დან, იტალიიდან, უნგრეთიდან. ფესტივალის საპატიო დირიჟორი იქნება ვახტანგ მაჭავარიანი, სოლისტი კი ალექსანდრე კორსანტია.

ვახტანგ მაჭავარიანი, დირიჟორი:

– ბედნიერებაა ისეთი გენიალური ადამიანის ფესტივალში მონაწილეობა, როგორიც ლიანა ისაკაძეა. ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის ლიანა ისაკაძე საქართველოს მუსიკალურ კულტურაში მოვლენაა. გარდა იმისა, რომ მეგობრები ვართ, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი მუსიკალური თილისმა ლიანაა იმიტომ, რომ ჩემი პირველი კონცერტი არაერთ ქვეყანაში სწორედ მას უკავშირდება. ასევე ჩემი პირველი ჩანაწერიც ლიანასთან არის დაკავშირებული. ამასთან, მრავალწლიანი მეგობრობა და ახლობლობა გვაკავშირებს. ამდენად, ფესტივალში მონაწილეობა საპასუხისმგებლო და სასიამოვნოა. მთხოვეს, ყველა კონცერტს ვუდირიჟორო, ლიანას გვერდით დგომა ჩემთვის სასიხარულოა.

რეპერტუარში არაერთი საინტერესო ნაწარმოები გვაქვს, მოცარტის „ღამის პატარა სერენადა“, რომელიც აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი უდიდესი ქმნილება. ასევე მნიშვნელოვანია სოსო ბარდანაშვილის კონცერტი, ის საქართველოში ბევრჯერ არ შესრულებულა. სოსო ბარდანაშვილი ძალიან წარმატებული კომპოზიტორია. მგონი, საქართველოში მის ნაწარმოებს „სერენადა“ ვიოლინოსა და სიმებისათვის პირველად დაუკრავენ. ესეც დიდი და საინტერესო მოვლენაა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეპერტუარშია შოსტაკოვიჩის „კამერული სიმფონია“ დო მინორი. მრავალი წელია, ეს გენიალური ქმნილებაც საქართველოში არ შესრულებულა. შესრულდება ალექსი მაჭავარიანის „სიმფონია კამერული ორკესტრისთვის“.

მიხარია, რომ ჩემ გვერდით ისეთი მუსიკოსი იქნება, როგორიც საშა კორსანტიაა, ჩვენ მრავალი წლის ახლობლობა გვაკავშირებს, როგორც ადამიანური, ასევე შემოქმედებითი თვალსაზრისით. დაუკრავს კარგი მევიოლინე გია იაშვილი დიდი მევიოლინეთა ოჯახიდან. გარდა ამისა, ფესტივალში არაერთი შესანიშნავი მუსიკოსი მიიღებს მონაწილეობას.

აღსანიშნავია კიდევ ერთი რამ, რომ საშა კორსანტია საქართველოში ისეთ ნაწარმოებს დაუკრავს, როგორიცაა, გალინა უსტვოლსკაიას „კონცერტი ფორტეპიანოს“, „ლიტვარებისა და სიმებიანებისთვის“. ძალიან მოკლე ხანში უნდა მოვამზადოთ დიდი პროგრამა. ბევრი რამ ჩემი და ორკესტრის მხრებზე გადაივლის და ვეცდებით, ამ ყველაფერს ღირსეულად გავუმკლავდეთ.

ასე რომ, გრძელდება ლიანა ისაკაძის დაფუძნებული ფესტივალი, რომელსაც ღირსეულად უნდა შევხვდეთ და წავუძღვეთ.

ალექსანდრე კორსანტია, პიანისტი:

– მოუთმენლად ველოდები იმ დროს, როცა ამ ფესტივალზე გამოვალ და ლიანას ჩრდილქვეშ დავუკრავ. ამ ადამიანის სახელი ხომ დიდი ხანია ბევრს ნიშნავს არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. ამას ისიც ემატება, რომ მრავალი წლის შემდეგ პირველად დავუკრავთ ვახტანგ მაჭავარიანთან, ჩემს უფროს მეგობართან ერთად.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ასევე პირველად შევასრულებ გალინა უსტვოლსკაიას კონცერტს. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ეს იქნება ერთ-ერთი საინტერესო და დასამახსოვრებელი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი.

შატილში კოშკი ინგრევა

შატილში ერთ-ერთი კოშკი ინგრევა. სავალალო მდგომარეობის გამო მას უკვე ჩაენგრა ძირზე კუთხე და გაუჩნდა ბზარები, რაც კოშკს სერიოზულ საფრთხეს უქმნის.



ბუჩა ზაზუნიშვილი:

– სოს! შატილის ერთ-ერთი კოშკი, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ძირზე კუთხე ჩაენგრა. პირველ წელს ბზარები საერთოდ არ ჰქონდა, მერე ოდნავ დაეტყო, ახლა უკვე საკმაოდ შორიდანაც ეტყობა. მალე საშიშიც გახდება აქ შესვლა.

სანამ ძირამდე არ დაიქცევა, მანამდე არ შემოირტყამენ თავში ხელს ძეგლთა დაცვაში... ისედაც 4 თუ 5 კოშკია დაშლილი და ყრია ქვის ყორედ. მერე ცემენტით ააშენებენ და ვიტყვით, ისტორიული ძეგლიაო!

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

27 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.4492	ევრო — 2.8641
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2212	100 რუსული რუბლი — 3.8919

ამინდის პროგნოზი 27 ივლისისთვის



იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ბრიტანელმა საკუთარ სახლში ჭა აღმოაჩინა

ბრიტანელმა ქალაქ პლიმუთში მდებარე საკუთარი სახლის ერთ-ერთ ოთახში საკმაოდ ღრმა ჭა აღმოაჩინა.

კოლინ სტირმა და მისმა მეუღლემ ერთ-ერთი ოთახის იატაკზე მცირე ჩაღრმავება შენიშნეს. ისინი ამ სახლში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გადავიდნენ საცხოვრებლად. მაშინ მათ გადაწყვიტეს ის დაეხურათ, ვინაიდან სახლში მათთან ერთად სამი პატარა ბავშვი იმყოფებოდა.

2011 წელს მამაკაცმა რემონტის გაკეთება გადაწყვიტა და ორმოს ამოთხრა დაიწყო, რომელიც იმაზე გაცილებით ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე ის ფიქრობდა. მან მეზობლის დახმარებით ხუთ მეტრამდე ჩასვლა მოახერხა, რის შემდეგაც ფსკერზე მიწისქვეშა წყლებს წააწყდნენ.

– ვფიქრობდი, რომ იქ შესაძლოა ვინმე იყო დამარხული, მაგრამ თხრა დავიწყე და ჭის კედელს წავაწყდი, – აღნიშნა სტირმა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იმის გარკვევა, თუ როდის შეიქმნა ჭა, ვერ მოხერხდა. ამიტომ სტირს სურს, ფსკერამდე ჩააღწიოს და იმედი აქვს, რომ იქ ნახავს ისეთ რამეს, რაც მისი აღმოჩენის ასაკის დადგენაში დაეხმარება.

ამჟამად კი ოჯახის მეგობრების ნაწილი ჭის ფსკერზე მონეტებს ყრის და სურვილებს ჩაუთქვამს.

ბრიტანელმა მდინარიდან უზარმაზარი თვითნაბადი ოქროს ზოდი ამოიღო

ბრიტანელმა მოყვარულმა ოქროსმაძიებელმა ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი თვითნაბადი ოქროს ზოდი იპოვა.

ოქროს ზოდი გოლფის ბურთის ზომისაა, 85,7 გრამს იწონის და ის შოტლანდიის მდინარის ფსკერზე ინახებოდა. ძვირფასი ლითონის ქვიშის მარცვლების მოსაპოვებლად ჰიდროკოსტიუმში გამოწყობილი ბრიტანელი საათობით იწვა წყალში და ქანებში ნაპრალებს სწავლობდა. მისმა აღმოჩენამ კი ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

– ქანის ნაპრალს მივუყვებოდი და დაახლოებით ორ გრამამდე სუფთა ოქროს შეგროვება მოვახერხე. ამ ძებნის დროს მივადექი იმ ადგილს, სადაც თვითნაბადი ოქროს ზოდი იყო დამალული, – იხსენებს ბრიტანელი, – მეგობარს ვუხმე, რათა მასაც შეეხედა. ორივემ ვიფიქრეთ, რომ მისი წონა ხუთიშვიდი გრამი იქნებოდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ფსკერიდან ამოვიღე, მივხვდი, თუ როგორი დიდი იყო.

ბოლო 500 წლის განმავლობაში ბრიტანეთის კუნძულებზე მხოლოდ ერთი ოქროს ზოდი იქნა აღმოჩენილი, რომელიც ახლახან ნაპოვნზე მეტს იწონიდა.

ოქროსმომპოვებელთა მოწყობილობით მოვაჭრე ფირმის დამფუძნებელ ლეონ კირკის შეფასებით, ასეთი ზომის თვითნაბადი ზოდი მინიმუმ 50 ათასი ფუნტი სტერლინგი ღირს.

– მაგრამ, ვინაიდან ის უფრო დიდ იშვიათობას წარმოადგენს, ვიდრე, ვთქვათ, ასტონ მარტინი ან ფაბერჟეს კვერცხი, რომელიმე მილიარდერმა შესაძლოა მასში სულ ადვილად გაცილებით დიდი თანხა გადაიხადოს, – განაცხადა კირკმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ექიმი ექთანს ეკითხება:
– ავადმყოფს ნარკოზი გაუკეთეთ?
– კი მაგრამ, რისთვის? ის ხომ ყრუ-მუნჯია.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– ჩვენთან ქურდობისთვის ხელს რომ აჭრიდნენ, რა იქნებოდა?
– რა და ჩვენს პარლამენტში ხმის მისაცემად ღილაკების ნაცვლად სატერფულებს დააყენებდნენ.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:
– გუშინ ლოთობას ბრძოლა გამოვუცხადე.
– მერე?
– დიდი უპირატესობით დამამარცხა...

●●●

მთვრალი ქმარი სახლში გვიან ღამით დაბრუნდა, საწოლამდეც ვერ მიაღწია და იატაკზე გაიშხლართა.

ცოლმა ცოცხს დაავლო ხელი, მეუღლეს ჩასცხო და თან ჩასძახის:
– კიდევ დალევ? კიდევ დალევ?
– კარგი, ჯანდაბას. დაასხი და დავლევ!

●●●

მასწავლებელი გიგის ეკითხება:
– გიგი, წარმოიდგინე, რომ 200 ლარი გაქვს. 50 ლარი მიეცი თეას, 50 – ლელას და 50 – ლამარას. და რას მიიღებ?
– მაგარ ორგიას...

●●●

ქალაქელს სოფლიდან ნათესავი ესტუმრა. მასპინძელი ეკითხება:
– ბიჭო, გავიგე, თქვენს სოფელში ქუჩებში დათვები დადიანო და მართალია?
– ტყუილია, სად გვაქვს ქუჩები!

●●●

რადიოგადაცემა:
– ჩვენ მსმენელ უამრავ მამაკაცს აინტერესებს პასუხი კითხვაზე: „ღირს თუ არა ცოლის წინაშე ვაღიაარო, რომ ვუღალატე? ამ კითხვაზე პირდაპირ ეთერში საკუთარ მოსაზრებას გაგვიზიარებენ ამ საკითხის ორი უმთავრესი სპეციალისტი, ჩვენი ქალაქის მთავარი საავადმყოფოს წამყვანი ტრავმატოლოგი და პათოლოგოანატომი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

დიდიე დეშამი: „მბაპეს გაუმართლა, რომ მის წინააღმდეგ თამაში არ მოუგია“



საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა განაცხადა, რომ მბაპემ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს მოედანზე, რადგან მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს აღიზიანებთ მბაპეს ფინტები და ტექნიკა.

დეშამის თქმით, მას რომ მბაპეს წინააღმდეგ ეთამაშა, ის შეძლებდა ახალგაზრდა ფორვარდის შეჩერებას:

– მბაპეს ერთხელ ვუთხარი, რომ მას გაუმართლა, რომ ჩემ წინააღმდეგ თამაში არ მოუწია, რადგან მას გავანადგურებდი და შესაძლოა მხოლოდ ყვითელი ბარათი მიმეღო. ზოგადად კილიანმა მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და ტრავმებს მოერიდოს.

ხავიერ ძანეტი: „მესის ინტერში ტრანსფერი სრული სიგიჟეა“

მილანის ინტერის სპორტულმა დირექტორმა ხავიერ ძანეტიმ მესის ინტერში გადასვლაზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს სრული სიგიჟეა და გავრცელებული ხმები სიმართლეს არ შეესაბამება.

ძანეტიმ სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ ინტერის კაპიტანი მაურო იკარდი გუნდში დარჩა და ეს, ძანეტის აზრით, დიდი მიღწევაა.

– მესის ტრანსფერზე საუბარიც არარეალურია. ეს სრული სიგიჟეა. არ მესმის, რატომ ვრცელდება მსგავსი ჭორები. ჩვენ იმითიც კმაყოფილი ვართ, რომ იკარდის შენარჩუნება შევძელით, – განაცხადა ხავიერ ძანეტიმ.

ნიკოლოზ ბასილაშვილი ჰამბურგის ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა

საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი ჰამბურგის ტურნირში მეოთხედფინალში გავიდა. მერვედფინალში ნიკამ ურუგვაელი პაბლო კუევასი დაამარცხა 7:6, 6:4.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის პირველ ეტაპზე ბასილაშვილმა ცნობილი გერმანელი ჩოგბურთეელი ფილიპ კოლშრაიბერი გამოთიშა ასპარეზობას, რაც ერთგვარი სენსაციაც იყო. ამჟამად ბასილაშვილი რეიტინგში 81-ე პოზიციას იკავებს, მაგრამ მან უკვე გაინაღდა სარეიტინგო ქულები და ის მინიმუმ 68-ე პოზიციამდე აიწევს ტურნირის ბოლოს. მეოთხედფინალში ბასილაშვილის მეტოქე პაბლო კარენა ბუსტა იქნება.

დემაგოი ვიდა შესაძლოა ლივერპულის ფეხბურთელი გახდეს

ხორვატი მცველი დემაგოი ვიდა შესაძლოა მალე ლივერპულის ფეხბურთელი გახდეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვიდა უკვე შეუთანხმდა ლივერპულს, მაგრამ პრობლემას ბეშიქთაში წარმოადგენს, რომელიც ვიდას ტრანსფერში 25 მილიონ ევროს ითხოვს, ლივერპული კი ამ თანხის გადახდას არ აპირებს. მოლაპარაკებები გრძელდება და უახლოეს დღეებში ბევრი რამ გაირკვევა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ლუდის დანალექი, გამონახარში; 2. ისტორიული ქალაქი ჯავახეთში; 3. პოეტი-მომღერალი მუსლიმანურ ქვეყნებში; 4. ჩარხზე დასამაგრებელი მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 5. კრემისგულიანი ნამცხვარი; 6. საახალწლო ტკბილეული; 8. რამეს თანდათანობითი დაქვეითება, გაუარესება; 10. მთავარი მილი წყალსადენის ან კანალიზაციის ქსელში; 11. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 14. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ქერისგან მომზადებული უალკოჰოლო-გამაგრილებელი სასმელი; 16. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა.

თარაზულად: 1. რელიგიური ფერწერის დარგი; 4. ინგლისელი მწერალი, ჯეიმს ბონდის პერსონაჟის შემქმნელი; 7. აზროვნების ორგანო; 9. ფრანგი მწერალი; 12. ქართველი მეცნიერი, ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი; 13. ტროპიკული მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის; 14. დიდგვაროვანთა მემკვიდრეობითი ტიტული ესპანეთში; 17. მოყვითალო-სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 18. გეომეტრიის ნაწილი; 19. საარტილერიო ქვემეხების ერთ-ერთი სახეობა; 20. მთვარიანი ღამე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა